პროლეტარებო მსოფლიოს ძმანო, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 300 (10694) | ხუთშაბათი, 27 დეკემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს ყველა პარტიულ ორგანიზაციას, ყველა კომუნისტს განუხრელად განახორციელონ ამოცანები, რომლებიც დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ სსრ კავშირის სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარების, ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესების, სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის მეთოდების სრულყოფის დარგში მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის ლენინური პრინციპების, მშრომელთა მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის ყველა — [illegible] განვითარების საფუძველზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი ჩვენი მუშაობის საბრძოლო პროგრამაა

„პრავდის“ 26 დეკემბრის მოწინავე

20-24 დეკემბერს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ და პლენუმის დადგენილებანი — „მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შედგენის სამუშაოთა დამთავრების შესახებ და 1956-1960 წლების საკონტროლო ციფრებისა და 1957 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის დაზუსტებათა მიმართულების შესახებ“ და „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხები.“

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმი, რომელშაც განხილა სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მომწიფებული საკითხები, დიდ ადგილს დაიკავებს პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში, დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს ჩვენი პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა შეაჯამა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების იმ პერიოდის შედეგები, რომელიც გავიდა XX ყრილობის შემდეგ. ეს შედეგები მოწმობენ, რომ ყრილობის გადაწყვეტილებები წარმატებით ხორციელდება. საბჭოთა ადამიანები სიამაყის გრძნობით ხვდებიან ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებში მოყვანილ მონაცემებს 1956 წელს — მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის შესახებ, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების შესახებ. 1955 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის გამოშვება მიმდინარე წელს გადიდდება დაახლოებით 11 პროცენტით, მათ შორის წარმოების საშუალებათა წარმოება — 11 პროცენტით და მეტად და მოხმარების საგნების წარმოება 9 პროცენტით და მეტად. სსრ კავშირში სამრეწველო წარმოების მასშტაბებზე მოწმობს ის ფაქტი, რომ 1956 წელს საბჭოთა კავშირში გამოადნობენ 49 მილიონ ტონა ფოლადს, ამოიღებენ დაახლოებით 430 მილიონ ტონა ქვანახშირს და 84 მილიონ ტონა ნავთობს, გამოიმუშავებენ 192 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას.

მძიმე ინდუსტრიის უპირატესი ზრდის საფუძველზე წარმატებით ვითარდება სოციალისტური ეკონომიკის სხვა დარგები. კიდევ უფრო გაიზარდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა. ამის მეოხებით შესაძლებელი გახდა მოკლე ვადაში აგვეთვისებინა 35,5 მილიონი ჰექტარი ყამირი მიწები და უკვე 1956 წელს მიგვეღწია პურის, კარტოფილის, რძის, ბამბისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი აღმავლობისათვის. 1955 წელთან შედარებით პურის სახელმწიფო დამზადება და შესყიდვა გადიდდა ერთი მილიარდი ფუთით და მეტად, კარტოფილისა — 2,7 მილიონი ტონით, რძისა — 3,8 მილიონი ტონით. მიმდინარე წელს მსუბუქი მრეწველობა მოსახლეობისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვებს 3 მილიარდი მანეთის პროდუქციას, კვების მრეწველობა — 4 მილიარდი მანეთისას.

1956 წელს იმ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად, რომლებიც პარტიის XX ყრილობამ დასახა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, საბჭოთა კავშირის მოსახლეობა მიიღებს წელიწადში 35 მილიარდ მანეთზე მეტ დამატებით სარგებლობას.

როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, ყველა ეს წარმატება კომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების შედეგია და მოასწავებს ახალ წინგადადგმულ ნაბიჯს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე. „საბჭოთა ქვეყანა, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში, — **კიდევ უფრო ძლიერი გახდა, გაიზარდა მისი ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, გაუმჯობესდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა.“**

მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგები ახალი ძალით ცხადყოფენ ჩვენი პარტიის პოლიტიკის სისწორეს, სოციალისტური სისტემის დიდ უპირატესობებს კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით. ჩვენი მეურნეობა გეგმიანი სოციალისტური მეურნეობაა, იგი ვითარდება მთელი ხალხის ინტერესებისათვის, რაც უსაზღვრო ასპარეზს უქმნის მუშების, გლეხების, ინტელიგენციის მილიონიანი მასების შემოქმედებითს ინიციატივას. ეს უპირატესობანი იმის უტყუარი საწინდარია, რომ ორი სისტემის — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში უზრუნველყოფილია სოციალიზმის გამარჯვება. ჩვენი საბჭოთა სოციალისტური სისტემა თავისუფალია წარმოების კაპიტალისტური წესის ყველა სენისა და უღრმესი წინააღმდეგობისაგან. იბრძვის რა ურყევი ერთიანობის განმტკიცებისათვის, ავითარებს რა ძმურ თანამშრომლობას ყველა სოციალისტურ ქვეყანას შორის და ახორციელებს რა ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანასთან მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას, საბჭოთა კავშირი, ხაზგასმით არის აღნიშნული ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებში, მტკიცედ მიდის წინ ლენინური გზით. საბჭოთა ადამიანები მთელ ძალებსა და შემოქმედებითს ენერგიას ახმარენ იმ დიადი შემოქმედებითი გეგმების განხორციელებას, რომლებიც დასახა კომუნისტურმა პარტიამ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა ის არის, რომ მათი მიზანია კიდევ უფრო კარგად, კიდევ უფრო სრულად იქნას გამოყენებული სოციალისტური წყობილების, სოციალისტური სისტემის უდიდესი მსოფლიო-ისტორიული უპირატესობანი ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების შემდგომი გადიდებისა და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების ინტერესებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ინტერესებისათვის. ახლა ჩვენ მოგვეპოვება ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ გადავიდეთ ეკონომიური განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე, რომელიც შეესაბამება კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპს. ჩვენ გვაქვს მძლავრი საწარმოო-ტექნიკური ბაზა, მმართველობის კვალიფიციური აპარატი, გვყავს გამოცდილ მუშაკთა მრავალრიცხოვანი კადრები. ამ კადრებს შეუძლიათ საქმის ღრმა ცოდნით გადაწყვიტონ უაღრესად რთული საწარმოო-ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური საკითხები და შრომის, სახსრებისა და მასალების რაც შეიძლება ნაკლები ხარჯვით მიაღწიონ მუშაობის დიდ შედეგებს სამეურნეო მშენებლობის ყველა უბანზე.

აღნიშნა რა სოციალისტური ეკონომიკის განვითარების წარმატებანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიგვითითა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის სერიოზულ ნაკლოვანებებზე. მაშინ როცა 1955 წელთან შედარებით იზრდება ქვანახშირის ამოღება, ლითონის, ცემენტის გამოშვება და ხე-ტყის დამზადება, 1956 წელს ამ სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმა არ სრულდება, აგრეთვე მთლიანად არ სრულდება როგორც ამ დარგების, ისე სახალხო მეურნეობის ზოგიერთი სხვა დარგის საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების გეგმა. მთლიანად ვერ სრულდება საბინაო მშენებლობის გეგმები. ეს აიხსნება როგორც ნაკლოვანებებით სახალხო მეურნეობის დაგეგმვაში, ისე იმით, რომ ცალკეული სამინისტროები დამაკმაყოფილებლად ვერ ხელმძღვანელობენ საწარმოებსა და მშენებლობებს. ამჟამად სახელმწიფო საგეგმო კომისია და სახელმწიფო ეკონომკომისია ღრმად ვერ სწავლობენ წარმოების ცალკეული დარგების მდგომარეობას, სუსტად არიან დაკავშირებულნი მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებთან, მხარეებსა და ოლქებთან, უშვებენ სერიოზულ შეცდომებსა და უზუსტობას წარმოების გეგმების, განსაკუთრებით კაპიტალური მშენებლობისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების განსაზღვრის დროს, ცუდად ართმევენ თავს თავიანთ მოვალეობებს სახელმწიფო გეგმების შესრულების შემოწმების დარგში. ამასთანავე პლენუმმა დაგმო ცალკეულ სამეურნეო ხელმძღვანელთა ცდები დაგეგმვის ნაკლოვანებებით დაფარონ თავიანთი არადამაკმაყოფილებელი მუშაობა და ასეთ ხელმძღვანელთა მისწრაფება — მიაღწიონ გეგმების შემცირებას. გეგმები რეალური უნდა იყოს და არა შემცირებული, გეგმები უნდა იყოს მამობილიზებელი, მათ საფუძვლად უნდა ედოს ტექნიკურ-ეკონომიური გაანგარიშებანი, მოწინავე გამოცდილებისა და წარმოების შინაგანი რეზერვების გამოყენება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასახა სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის ორგანიზაციის კონკრეტული ღონისძიებანი, მიგვითითა სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზებზე. პლენუმმა გადაწყვიტა 1957 წლის პირველ ნახევარში სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმა. **„მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შედგენის სამუშაოთა დამთავრებისას,** — ნათქვამია პლენუმის დადგენილებაში, — **გათვალისწინებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ხუთწლედის მთავარი ამოცანები — მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ბაზაზე უზრუნველყოფილ იქნას სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი ზრდა, განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობა და ამ საფუძველზე მიღწეულ იქნას საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება, გადაიდგას წინ დიდი ნაბიჯი სსრ კავშირის იმ მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაჭრაში, რომ ისტორიულად უმოკლეს ვადაში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.“**

პლენუმის გადაწყვეტილებებში განსაზღვრულია მიმართულებანი, რომლებშიც საჭიროა იმ სანიმუშო დავალებათა ცალკეული დაზუსტება, რომლებიც გათვალისწინებულია დირექტივებით მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და 1957 წლის გეგმის პროექტით. მხედველობაში მიღებულია აღმოფხვრას მრეწველობის ცალკეული დარგების გეგმებში დაშვებული ზედმეტი დაძაბულობა და ის, რომ პროდუქციის წარმოებისა და კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის დავალებანი მოყვანილ იქნან შესაბამისობაში მატერიალურ რესურსებთან, არ იქნას დაშვებული სახსრების დაქსაქსვა მრავალ ობიექტში, მატერიალური და ფულადი რესურსები თავმოყრილ იქნას უმნიშვნელოვანეს მშენებლობებსა და ასამუშავებელ ობიექტებზე. დასახულია გამოინახოს შესაძლებლობანი, რომ დამატებითი სახსრები გამოიყოს საბინაო მშენებლობისათვის, გადაჭრით აღიკვეთოს ამ მშენებლობის პრაქტიკაში ყოველგვარი ზედმეტობა, რომელიც ზრდის მის ღირებულებას, უკეთ იქნას გამოყენებული ადგილობრივი საშენი მასალები, აქტიურად დაეჭიროს მხარი მუშა-მოსამსახურეთა ფართო მასების ინიციატივას საბინაო მშენებლობის დასაჩქარებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ. დადგენილებაში მოცემულია ნათელი პროგრამა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობისა სამეურნეო მშენებლობის დარგში. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მითითებათა საფუძველზე ამჟამად ხორციელდება მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სახელმწიფო დაგეგმვის საქმის გაუმჯობესება, მეურნეობის მართვაში მეტისმეტი ცენტრალიზაციის აღმოფხვრა და სამეურნეო მშენებლობაში მოკავშირე რესპუბლიკების როლის ამაღლება, სსრ კავშირის სამინისტროთა, სამეურნეო გაერთიანებათა და საწარმოთა უფლებების შემდგომი გაფართოება, ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის რიცხვის შემცირება და გამარტივება.

ეს ღონისძიებანი, აგრეთვე პლენუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის დონის შემდგომი ამაღლების შესახებ, საკმაოდ შეეესაბამებიან სოციალისტური მეურნეობის წარმართვის ლენინურ პრინციპებს, რომელსაც საფუძვლად უდევს დემოკრატიული ცენტრალიზმი.

სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში დემოკრატიული ცენტრალიზმი, როგორც ხაზგასმით აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გამო, გამომდინარეობს მსხვილი სოციალისტური წარმოების ბუნებიდან, სოციალისტური ეკონომიკის, როგორც გეგმიანი ეკონომიკის ხასიათიდან, საბჭოთა წყობილების არსიდან, რომელმაც მილიონობით მშრომელი დარაზმა შეგნებული ისტორიული შემოქმედებისათვის, სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობის მართვისათვის. დემოკრატიული ცენტრალიზმი მოითხოვს დაგეგმვის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესებას, მთელ ჩვენს სამეურნეო საქმიანობაში გეგმიანი საწყისის განმტკიცებას. „მხოლოდ იმ მშენებლობას შეუძლია დაიმსახუროს სოციალისტურის სახელწოდება, — გვასწავლის ვ. ი. ლენინი, — რომელიც დიდი საერთო გეგმის მიხედვით იწარმოებს.“

დემოკრატიული ცენტრალიზმი ამასთან ნიშნავს ადგილობრივი გამოცდილებისა და ადგილობრივი პირობების უაღრესად გულმოდგინე და ყოველმხრივ გათვალისწინებას, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, მილიონობით მუშის, კოლმეურნის, ინტელიგენციის შემოქმედებითი ინიციატივის აქტიურ მხარდაჭერასა და წახალისებას. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, დემოკრატიულ და სოციალისტურ ცენტრალიზმთან საერთო არა აქვს რა არც გაშბლონებას, არც ზემოდან ერთფეროვნების დაწესებას. დეტალებში, ადგილობრივ თავისებურებებში, საქმისადმი **მიდგომის** ხერხებში **მრავალფეროვნება** კი არ არღვევს, არამედ უზრუნველყოფს ერთიანობას ძირითადად, ძირეულად, არსებითად.

სწორედ დემოკრატიული ცენტრალიზმის ამ ლენინური პრინციპების განხორციელება შეადგენს იმ ღონისძიებათა არსს, რომლებსაც პარტია და მთავრობა იღებენ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებას და მათი როლის გადიდებას მეურნეობის ხელმძღვანელობაში, რაც საშუალებას გვაძლევს თანმიმდევრულად განვახორციელოთ ლენინური ეროვნული პოლიტიკა სამეურნეო მშენებლობაში, ყოველმხრივ გავითვალისწინოთ თვითეული რესპუბლიკის ეროვნული თავისებურებანი და ადგილობრივი რესურსები, დავაჩქაროთ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარება. ამ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკური სამინისტროების უშუალო გამგებლობაში გადაცემულ იქნა 15 ათასამდე სამრეწველო საწარმო, რომლებიც წინათ საკავშირო სამინისტროების გამგებლობაში იყო. ამან მნიშვნელოვნად გაადიდა მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის ხვედრითი წონა, ხელი შეუწყო შემოქმედებითი ინიციატივის კიდევ უფრო გაშლას ადგილებზე, მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკის შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს პლენუმის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ საჭიროა ძირეულად გაუმჯობესდეს სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომკომისიის მუშაობა სახალხო მეურნეობის მიმდინარე დაგეგმვის საქმეში, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დაეკისროს მას სახელმწიფო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხების ოპერატიული გადაჭრის ფუნქციები და პასუხისმგებლობა საჭირო მატერიალური რესურსებით საგეგმო დავალებათა უზრუნველყოფისათვის. დასახულია ღონისძიებანი მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა შემდგომი გაფართოებისათვის. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები უნდა წყვეტდნენ საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო გეგმების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის კაპიტალური მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, შრომის ნაყოფიერების, პროდუქციის თვითღირებულების, გასაღებისა და დაფინანსების საკითხებს.

მეურნეობის სოციალისტური სისტემა, ნამდვილი სახალხო საბჭოთა წყობილება სინამდვილეში იძლევიან უდიდეს შესაძლებლობას იმისათვის, რომ მშრომელთა ფართო მასები პრაქტიკულ მონაწილეობას იღებდნენ წარმოების მართვაში — მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებების, საწარმოო თათბირების, ტექნიკური კონფერენციების, სამეურნეო აქტივების, წარმოების მოწინავეთა თათბირების საშუალებით და სხვ. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც მოიცავს ათეულ მილიონობით მშრომელს. მაგრამ ამჟამად, როდესაც სამეურნეო მშენებლობის ამოცანები გაიზარდა და გართულდა, როდესაც მნიშვნელოვნად ამაღლდა მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონე, მომწიფდა საჭიროება კიდევ უფრო ფართოდ ჩავაბათ მშრომელნი მეურნეობის მართვაში. ამ მხრივ დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ თითქმის ყველა მუშასა და მოსამსახურეს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით არის აღნიშნული; რომ საბჭოთა პროფკავშირების საქმიანობა ისეთ სიმაღლეზე უნდა იქნას აყვანილი, რომ პროფკავშირებმა სავსებით გაამართლონ თავიანთი მაღალი დანიშნულება — იყვნენ, როგორც ლენინი გვასწავლიდა, „მართვა-გამგეობის სკოლა, მეურნეობის წარმართვის სკოლა, კომუნიზმის სკოლა“.

გადაწყვეტილებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა მიიღო, გამოხატავენ სსრ კავშირის ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს, კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებს. ეს გადაწყვეტილებანი მოწმობენ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი როლის შემდგომ გადიდებას საბჭოთა სახელმწიფოს სისტემაში, მისი რიგების მონოლითურ ლენინურ ერთიანობას — პარტიის მიზნისა და მოქმედების ერთიანობას. პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლა ყველა პარტიული ორგანიზაციის, ყველა კომუნისტის, მთელი ჩვენი ხალხის საქმიანობის საბრძოლო პროგრამაა. თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით საჭიროა გავაძლიეროთ ჩვენი პარტიის ყველა ორგანიზაციის მებრძოლუნარობა, გავაძლიეროთ ყველა კომუნისტის, და უწინარეს ყოვლისა ხელმძღვანელი კადრების პოლიტიკური გამოწრთობა და მარქსისტულ-ლენინური აღჭურვილობა, გავადიდოთ მათი პასუხისმგებლობა პარტიის ხაზის განხორციელებისათვის, პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის უმკაცრესად დაცვისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გამოთქვა რწმენა, რომ **მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა ინტელიგენცია კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მაქსიმალური სისრულით გამოიყენონ თვითეული სამრეწველო საწარმოს, თვითეული მშენებლობის, ყველა კოლმეურნეობის, მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის საწარმოო შესაძლებლობანი და რეზერვები და ამ საფუძველზე მიაღწიონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას.**

კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ნაცადი ხელმძღვანელობით — ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ახალი გამარჯვებებისაკენ!

ესტონური ხელოვნების დეკადის დასკვნითი კონცერტი სსრ კავშირის დიდ თეატრში

ესტონელი ხალხის ბრწყინვალე ნიჭიერი ხელოვნება მთელი მრავალფეროვნებით გამოჩნდა სპექტაკლებზე, კონცერტებზე, ლიტერატურულ საღამოებზე ესტონური დეკადის დროს მოსკოვში.

დეკადის მონაწილეებმა სსრ კავშირის დიდ თეატრში გამართულ დასკვნითს კონცერტზე 25 დეკემბერს უჩვენეს სასიმღერო, მუსიკალური და საცეკვაო შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები. მათ ბალტიკის ნაპირებიდან მოიტანეს სიყვარული ჩვენი დიდი მრავალეროვანი სოციალისტურ სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი.

კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. კირიჩენკო, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, დ. ტ. შეპილოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი.

ესტონური ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დასკვნითმა კონცერტმა ცხადყო, თუ რა უდიდესი წარმატებები მოიპოვა ესტონელმა ხალხმა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში, რა მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს მას კულტურულ მშენებლობაში. (საკდესი).

სტავროპოლის გაზი მოსკოვში მივიდა

1956 წლის უკანასკნელი დღეები დიდი შრომითი გამარჯვებით აღინიშნა: სტავროპოლის გაზი მოსკოვში მივიდა. ვადაზე ადრე გადაეცა საექსპლოატაციოდ ევროპაში უდიდესი გაზსადენის — სტავროპოლ-მოსკოვის გაზსადენის პირველი რიგი, რომლის სიგრძე 1.300 კილომეტრია.

ამ დიდებული მშენებლობის უდიდესი მნიშვნელობა ხასიათდება ასეთი მონაცემებით: უკვე ახლა პირველი ხაზით საკომპრესორო სადგურების დაუზმარებლად მოსკოვი ყოველდღე მიიღებს 3-დან 4 მილიონამდე კუბურ მეტრ გაზს, ანუ ერთ მილიარდ კუბურ მეტრს წელიწადში. სრულ სიმძლავრეზე გადასვლისას მაგისტრალი ქალაქს მიაწვდის 20-ჯერ მეტ გაზისებრ სათბობს, ვიდრე სარატოვ-მოსკოვის გაზსადენი. ამ გაზსადენის ამუშავება შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვნად გადიდდეს გაზის ხვედრითი წონა საბჭოთა კავშირის სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში. ამასთან სტავროპოლის გაზის თვითღირებულება ნავთობზე სამჯერ და ქვანახშირის თვითღირებულებაზე რვაჯერ ნაკლებია.

ამ დამთავრებული მუშაობის სიმბოლოა გაზის სანთლის ცაში ატყორცნილი ალი, რომელიც საბჭოთა მეურნეობა „კომუნარკაში“ აინთო მოსკოვის მახლობლად, სადაც 24 დეკემბერს გაიმართა დიდი მიტინგი, მიძღვნილი გაზის გიგანტური მაგისტრალის პირველი რიგის ამუშავებისადმი. აქ შეიკრიბნენ ყველა უბნის ასობით მშენებელი, მემონტაჟე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, ნავთობის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის გაზის მთავარი სამმართველოსა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს შემდეგებელმა ფ. ომელიანენკომ, საიზოლაციო — ჩასაწყობი კოლონის კოლექტივის წარმომადგენელმა ვ. ხარკოვმა, სამშენებლო სამმართველოს უფროსმა ვ. სიტოვმა, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ბობროვნიკოვმა, სსრ კავშირის გაზის მთავარი სამმართველოს უფროსმა ა. შმარევმა, ნავთობის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის მინისტრმა ა. კორტუნოვმა და სხვებმა. (საკდესი).

23 ახალი ნიმუშის საფეიერო მანქანები

პენზა, 25 დეკემბერი. (საკდესი). პენზის მანქანათმშენებლობის ქარხანაში აგებულია ახალი მანქანა „პ-76-შგ-4“ მატყლის ბოჭკოს რთვისათვის. მისი გაბარიტები შემცირებულია თითქმის ერთიორად წინანდელ მანქანებთან შედარებით. იგი აღჭურვილია სრულყოფილი ხელსაწყოებითა და ავტობლოკირებით, მისი წარმადობა რვა პროცენტით მაღალია, ვიდრე მოქმედი მატყლსართავი მექანიზმებისა.

1956 წლის დამდეგიდან პენზის ოლქის საფეიერო მანქანათმშენებლობის საწარმოებმა გამოუშვეს 23 ახალი ნიმუშის მანქანები.

სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი წარმატებებისათვის

★

მძლავრი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თბილისელი მეორთქლმავლეები ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს და ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი წარმატებებისათვის.

— პლენუმის გადაწყვეტილებანი, — განაცხადა ზეინკალმა ვ. ნიკოლაიშვილმა, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს 300 პროცენტით ასრულებს, — ჩვენი მუშაობის საბრძოლო პროგრამაა. საწარმოს კოლექტივი დიდი ყურადღებითა და ინტერესით ეცნობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებებს, აძლიერებს ბრძოლას სკკპ XX ყრილობის წინასწარ-ასახულობათა წარმატებით შესრულებისათვის.

თბილისის საორთქლმავლო დეპო ამიერკავკასიის რკინიგზის საწარმოთა შორის ერთ-ერთი მოწინავეა. დეპოელებმა წლიური გეგმა ჯერ კიდევ 30 ნოემბრისათვის შეასრულეს. ამჟამად საწარმოს კოლექტივი 1957 წლის ანგარიშში მუშაობს და მტკიცედ ინარჩუნებს ამიერკავკასიის რკინიგზის სამართველოს გარდამავალ წითელ დროშას.

საორთქლმავლო დეპოს საამქროებში, მეორთქლმავლეთა ბრიგადებში ფართო მუშაობაა გაჩაღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტებისათვის, ამ გადაწყვეტილებების ღრმად შესწავლისათვის. ამ მიზნით ყოველდღიურად 50-მდე აგიტატორი აწყობს საუბრებს დეპოელებთან. პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ცოცხალ, საინტერესო საუბრებს მართავენ აგიტატორები შ. ხიზანიშვილი, ხ. რუხაძე, ი. წულაია, თ. კალიუჟნი და სხვები.

საორთქლმავლო დეპოს სამეურნეო, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები აძლიერებენ ზრუნვას მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. საახალწლოდ რამდენიმე მოწინავე მუშა ახალ კეთილმოწყობილ ბინას მიიღებს. მომავალ წელს დეპოს მუშა-მოსამსახურეთა ძალებით აშენდება ახალი საცხოვრებელი სახლები.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ყოველი ღონისძიებით გავაძლიერებთ ბრძოლას მოწინავე გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვისათვის, ფართოდ გავაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას მეექვსე ხუთწლედის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის.

დ. კვარაცხელია,
თბილისის საორთქლმავლო დეპოს პარტკომის მდივანი.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მოსამზადებელი საამქროს საქსელე განყოფილების აგიტატორი ვ. მჭედლიშვილი მუშებს აცნობს საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებებს. ★ ◎ ★

აფხაზეთის საწარმოებსა და კოლმეურნეობებში

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის საწარმოებსა და კოლმეურნეობებში ფართოდ განიხილავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებებს.

სოხუმის ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის პირველ საამქროში შესვენების დროს პლენუმის გადაწყვეტილებებზე საუბარი მოაწყო აგიტატორმა ი. ლიახოვეცკიმ. აგიტატორის საუბრის დამთავრების შემდეგ სიტყვას ამბობს რანტის მიმკერებელი გ. პეშხოვა.

— მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს, — თქვა მან, — საბჭოთა ხალხმა დიდი წარმატებები მოიპოვა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი დიადი შემოქმედებითი შრომისათვის აღგვაფრთოვანებენ. პირადად მე ამჟამად 1960 წლის ანგარიშში ვმუშაობ. 1957 წელს კიდევ უკეთესად ვიმუშავებ. ეს იქნება ჩემი პასუხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებზე.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით აგიტატორთა გაცხოველებული საუბრები ეწყობა აგრეთვე სოხუმის სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკასა, სამშენებლო ობიექტებსა და ქალაქის სხვა საწარმოებში, ტყვარჩელის შახტებში, გაგრის, გალის, გუდაუთის და სხვა რაიონების კოლმეურნეობებში.

შემოქმედებითი ძალების უმაგალითო ზრდა

თბილისის მოლოტოვის სახელობის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკაში შესვენება იწყებოდა, საამქროებში მუშები აგიტატორებთან შეიკრიბნენ, მოუთმენლად ელოდნენ საუბრის დაწყებას. მათ იცოდნენ, რომ საუბარი მოეწყობოდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ.

საზეინკლო-მექანიკურ საამქროში აგიტატორმა ვ. მარკოვმა მუშებთან საუბარში განაცხადა:

— პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ წარმატებანი, რომლებსაც სოციალისტურმა მრეწველობამ მეექვსე ხუთწლედის პირველ წელიწადში მიაღწია, მოასწავებენ ახალ წინგადადგმულ ნაბიჯს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე. საბჭოთა ქვეყანა კიდევ უფრო ძლიერი გახდა, გაიზარდა მისი ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, გაუმჯობესდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებები აღფრთოვანებულმა ზეინკალმა ნ. ჯანჯღავამ, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 200-250 პროცენტით ასრულებს, აღნიშნა, რომ საწარმოს კოლექტივმა მიმდინარე წლის გეგმა 20 დეკემბრისათვის გაანაღდა, 2,8 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და სამშობლოს მისცა 723 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება. მეექვსე ხუთწლედის მეორე წელს ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი უფრო მეტი მონდომებითა და ენერგიით იმუშავებს.

საგიტაციო საუბრები გაიმართა ფაბრიკის ყველა საამქროში.

წლიური გეგმა გაანაღდეს

თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის კოლექტივმა შრომის სწორი ორგანიზაციის, მანქანებისა და მოწყობილობის სრული სიმძლავრით და მაღალნაყოფიერად გამოყენების შედეგად ახალ შრომითს წარმატებას მიაღწია, 25 დეკემბრისათვის შეასრულა ფეხსაცმლის გამოშვების წლიური გეგმა. გამოშვებულია 4.835 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

მნიშვნელოვნად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება. გეგმასთან შედარებით სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 7.500 ათასი მანეთით ანუ 4,1 პროცენტით. ზეგეგმითმა დაგროვებამ 11 მილიონი მანეთი შეადგინა.

ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა დაზოგილი ნედლეულითა და დამხმარე მასალებით წლის ბოლომდე გამოუშვას 100 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

ნამყენი ვაზი ბორჯომის ხეობაში

ბორჯომი. (საკ. კორ.). რაიონის დაბალი ზონის სოფლების ტყეებში ხშირად გვხვდება უძველესი დროის ვაზის ნიმუშები. სოფელ ჯობისხევში არის 25 ასეთი ვაზი, რომლებიც ხეებად არის ქცეული და ბევრ ყურძენს ისხამს. ვარაუდობენ, რომ ეს ვაზები სულ ცოტა სამასი წლისაა.

ბორჯომის ხეობაში უძველესი ვაზის ნიმუშების არსებობამ აფიქრებინა სოფელ ქვაბისხევის, რველის, ზანავის და დვირის კოლმეურნეებს საცდელად გაეშენებინათ ნამყენი ვაზი, რამაც კარგი შედეგი გამოიღო.

ქვაბისხევის კოლმეურნეობამ, რომელსაც ნამყენი ვაზი („ალიგოტე", „პინო", „მწვანე") გაშენებული აქვს 0,45 ჰექტარზე, წელს, მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, მოიყვანა 16 ცენტნერი ყურძენი.

სტუმრები პოლონეთიდან

ჭიათურა. (საკ. კორ.). ამ დღეებში აქ სტუმრად იმყოფებოდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ: პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საავჭრო ატაშე მოსკოვში ვ. ვოიჩეგოვსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს განყოფილების გამგე ლ. გელიჩი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს განყოფილების გამგე ჩ. ენდრალი და სხვ.

პოლონელმა მეგობრებმა დაათვალიერეს ლენინის სახელობის მაღარო, ცენტრალური გამაუხეებელი ფაბრიკა, გაეცნენ მადნის მონგრევის, დატვირთვისა და გაუხეების მექანიზაციასა და ტექნოლოგიას. მათ აგრეთვე ინახულეს მადნის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის ლაბორატორია, მადნის საცდელი სადგური, ჭ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრი, მარგანტრესტის მეოთხე საბავშვო ბაღი, ითვალიერეს ჭიათურა-პერევისნის სახალხო საჰაერო-საბაგირო გზით, დაწვრილებით ესაუბრნენ ინჟინერებს, მაღაროელებს.

სტუმრები ჭიათურაში რამდენიმე დღეს დარჩნენ. მათ გულთბილი მიღება და გაცილება მოუწყეს მარგანეცის ქალაქის მშრომელებმა.

ძირეული პრესის მიმოხილვა

საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის მექანიკური ქარხნის კოლექტივს მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში. მეექვსე ხუთწლედის პირველ წლის დავალება ქარხანამ 28 ოქტომბრისათვის შეასრულა, ამასთან პროდუქციის თვითღირებულება 8 პროცენტით შეამცირა, ხოლო შრომის ნაყოფიერება 23 პროცენტით გაადიდა.

ქარხნის კოლექტივს ამ წარმატებათა მოპოვებაში გარკვეული დახმარება გაუწია საქარხნო კედლის გაზეთმა **„მოწინავემ"**, რომელშიც სისტემატურად შუქდება ქარხნის ცხოვრება. კედლის გაზეთის ფურცლებზე სათანადო ასახვას პოულობს საწარმოს შრომითი წარმატებები და ნაკლოვანებანი, საამქროთა კოლექტივების ზრუნვა საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხის განუხრელად ამაღლებისათვის. კედლის გაზეთი უყურადღებოდ არ ტოვებს საწარმოს ცხოვრების თითქმის არცერთ აქტუალურ საკითხს: მის სვეტებზე შუქდება მოწყობილობისა და მექანიზაციის მდგომარეობა, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა, სასადილოს, შხაპის და სხვა კულტსაყოფაცხოვრებო ობიექტების მუშაობა, მთელი რიგი ისეთი „წვრილმანები", რომელთა მოგვარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქარხნის მთელი კოლექტივის შეწყობილი, გამართული მუშაობისათვის. ივნისის ნომერში კედლის გაზეთმა გააკრიტიკა მექანიკურ საამქროში მოწყობილობის რემონტის მიმდინარეობა. გაზეთი წერდა, რომ საამქროში უყურადღებოდ ეკიდებიან ჩარხების შეკეთებას. არის შემთხვევები, როცა ესა თუ ის კაპიტალურად შეკეთებული ჩარხი ხშირად ერთ-ორ დღეში გამოდის მწყობრიდან, რაც დიდად უშლის ხელს საწარმოს გეგმის შესრულებას. იქვე მოყვანილი იყო საგულისხმო მაგალითი: საღარავი ჩარხი № 75, რომლის კაპიტალურად შეკეთება 3.600 მანეთი დაჯდა, ერთი დღის მუშაობის შემდეგ გაფუჭდა.

„მოწინავის" ეს კრიტიკული გამოსვლა ჯერ ქარხნის პარტიული ბიუროს, ხოლო შემდეგ პარტიული კრების მსჯელობის საგანი გახდა. პარტიულ კრებაზე კომუნისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს ქარხნის მთავარი მექანიკოსი მ. შარიოლოვი და მისი მოადგილე ბ. სვანიძე. კრებამ დასახა ღონისძიებანი მოწყობილობის რემონტისა და მისი მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისათვის. კედლის გაზეთმა შემცირებასთან ერთად ამოუნაყოლობა აქვს ტრიალეთის მექანიზაციისა და [illegible] ნაკლოვანებანი აქვს. ამიტომ არის, რომ კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. „მოწინავემ" ერთ-ერთ ნომერში დააყენა საკითხი საამქროთაშორისო მექანიზებული ტრანსპორტის მოწყობის შესახებ. ქარხნის დირექციამ სპეციალურად განიხილა კედლის გაზეთის წინადადება და მხარი დაუჭირა მას. ამჟამად უკვე მიმდინარეობს მუშაობა საამქროთაშორისო მექანიზებული ტრანსპორტის მოსაწყობად.

ქარხნის მუშაობის ასეთ საჭირბოროტო საკითხებზე, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, გაზეთი ხშირად წერს. მისასალმებელია, რომ კედლის გაზეთის ყველა კრიტიკულ გამოსვლაზე მკითხველები მომდევნო ნომრებში პოულობენ გამოხმაურებას, რაც კიდევ უფრო ზრდის მის ქმედითობას.

„მოწინავის" სარედაქციო კოლეგია გ. ვიშნევსკის (რედაქტორი), ა. ზახოვაევის, ი. შუსერის, ს. დავიდოვას შემადგენლობით გემოვნებით აკეთებს თვითეულ ნომერს.

აქტიურად ეხმარება საწარმოს კოლექტივს გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში თბილისის მიქოიანის სახელობის ხორცკომბინატის ორგანო—თერაპიული პრეპარატების ქარხნის კედლის გაზეთი **„მედპრეპარატი"**. მაგალითად, ივლისში კედლის გაზეთმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ქარხანა ცუდად მარაგდება ალბუმინით, რაც საჭიროა საბავშვო ჰემოტოგენის დასამზადებლად. ამ თემაზე კედლის გაზეთმა მოათავსა ლაბორატორიის გამგის ი. თოდუას წერილი, რომელშიც მრავალი კრიტიკული შენიშვნა იყო გამოთქმული და მხილებული იყო მომარაგების განყოფილების მოუქნელი მუშაობა. კედლის გაზეთის კრიტიკამ სასურველი შედეგი გამოიღო, ალბუმინით მომარაგების საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა.

კედლის გაზეთში საქმიანი წერილები თავსდება სახელმწიფო დავალების შესრულებისათვის ქარხნის კოლექტივის ბრძოლაზე, საამქროების მუშაობაზე, წარმოების მოწინავეთა გამოცდილებაზე და სხვ.

მაგრამ „მედპრეპარატის" სარედაქციო კოლეგიას, რომელშიც შედიან მომზადებული ამხანაგები გ. ხახანაშვილი (რედაქტორი), გ. ჩისტიაკოვი, გ. კარაკულოვა, ნ. ფისენკო, ა. ბონდარენკო, შეუძლია უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო კედლის გაზეთი გამოუშვას. საჭიროა მხოლოდ, რომ სარედაქციო კოლეგიის წევრები უფრო მონდომებით, შემოქმედებითად მიუდგნენ ყოველი ახალი ნომრის გამოშვებას.

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

მეტი დახმარება ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს

დელეგატის შენიშვნები

როდესაც რაიკომის მდივანმა ა. ტაბატაძემ საანგარიშო მოხსენებისათვის 1 საათი და 40 წუთი მოითხოვა, დელეგატები უკამათოდ დავეთანხმეთ მას, ოღონდ გავაფრთხილეთ, რომ ეს დრო მთლიანად გამოეყენებინა საანგარიშო პერიოდში პარტიის რაიონული კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის ანალიზისათვის, გაეკრიტიკებინა ჩრდილოვანი მხარეები და კონკრეტულად ელაპარაკნა ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში სიმინდის მოსავლის ერთ ჰექტარზე 4-6 ცენტნერს არ აღემატება.

კიდევ უფრო დაბალია ყურძნის მოსავალი. ყოველ ჰექტარზე ნაცვლად 47 ცენტნერისა მიღებულია 29,4 ცენტნერი ყურძენი. დიდია ვენახების სიმეჩხრე. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ახლად გაშენებული ვენახების მოვლა და დაცვა.

პარტიის რაიკომი განსაკუთრებით სუსტად ეხმარება ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს. ამითაც აიხსნება, რომ რაიონის 18 კოლმეურნეობიდან წველადობის გეგმა ვერ შეასრულა რვამ. საკმაო ყურადღება არ ექცევა საკვები ბაზის განმტკიცებას. წელს არ შესრულებულა უხეში და წვნიანი საკვების დამზადების გეგმა.

გააკრიტიკეს რა ეს ნაკლოვანებანი, კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ისინი ძირითადად გამოწვეულია პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის სუსტად დაყენებით. რაიკომი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას. 18 აგვისტოს რაიკომის ბიუროს განიხილა საკითხი პირუტყვის სადგომების, სასილოსე ნაგებობათა მშენებლობისა და რემონტის მიმდინარეობის შესახებ. შესრულების შემოწმება დაევალათ რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს კ. ჭოხონელიძეს და რაიკომის მდივანს მტს-ის ზონაში ვ. ჩინჩალაძეს. მაგრამ იმის გამო, რომ ამ ამხანაგებმა შესრულების შემოწმება დაივიწყეს, რაიკომის ბიუროს დადგენილება განუხორციელებელი დარჩა. ყოველივე ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ საზოგადოებრივი პირუტყვი საგალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. რაიკომის მეორე მდივანს თ. ერისთავს რაიონული კომიტეტის ბიუროს დაავალა რაიონის პროკურატურის საქმიანობისა და განათლების განყოფილებაში კადრებთან მუშაობის მდგომარეობის შესწავლა, მაგრამ ბიუროს ეს დავალება აქამდე არ არის შესრულებული.

ბევრმა დელეგატმა თავის გამოსვლაში მოურიდებლად გააკრიტიკა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოები. მაგალითად, დელეგატებმა მ. ორბელაძემ, ა. კიკნაველიძემ, შ. ჩიმაკაძემ გააკრიტიკეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელიც კოლმეურნეობებს არ ამარაგებს საკმაო აზოტოვანი სასუქებით. დელეგატებმა ვ. გიორგობიანმა და მ. საყვარელიძემ აღნიშნეს, რომ რაიონში სატელეფონო და რადიოკავშირი ტექნიკურად უვარგისია, ხოლო საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო ამას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს.

საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო კონფერენციის მუშაობის ნაკლიც. უწინარეს ყოვლისა ნაკლები იყო რაიონული კომიტეტის კრიტიკა, თუმცა კონფერენცია მის ანგარიშს განიხილავდა. დელეგატები თავიანთ გამოსვლებში სამეურნეო საკითხებზე უფრო მეტს ლაპარაკობდნენ, ვიდრე პარტიულ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მუშაობაზე. პირველ რიგში ეს ითქმის მაიაკოვსკის —ბალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივნის ე. ზარაქაძის შესახებ, რომელიც ერთი სიტყვითაც არ შეხებია პარტიული ცხოვრების საკითხებს.

დელეგატების საქმიანი წინადადებებისა და შენიშვნების საფუძველზე კონფერენციამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი მომავალი მუშაობისათვის და აირჩია პარტიის რაიკომის ახალი შემადგენლობა.

გ. ფულარიანი,
მაიაკოვსკის რაიონული პარტიული კონფერენციის დელეგატი, სოფელ დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

* * *

შედგა პარტიის რაიონული კომიტეტის პლენუმი. პარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ა. ტაბატაძე, მეორე მდივნად — თ. ერისთავი, მდივნად მტს-ის ზონაში — ვ. ჩინჩალაძე.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

სტალინირი. (საკ. კორ.). ამ დღეებში გაიხსნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელსაც ყოველდღიურად მრავალი მნახველი ჰყავს.

ყურადღებას იპყრობს გამოფენის მთავარი პავილიონი. აქ გამოფენილია მაჩვენებლები ოლქის სახალხო მეურნეობის ზრდისა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში. სტენდები, დიაგრამები, განმარტებითი ბარათები ნათლად მოწმობენ, თუ როგორი სწრაფი ტემპით იზრდება სამხრეთ ოსეთის მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და კულტურა. ამ ხნის განმავლობაში დაიწყო კვაისის ტყვიათუთიის საბადოს ექსპლოატაცია, მწყობრში ჩადგა სტალინირის მექანიკური და ლუდის ქარხნები, ომისშემდგომ წლებში ოლქში გაშოშვებული სამრეწველო პროდუქცია თითქმის 8-ჯერ აღემატება ომამდელ დონეს.

კოლმეურნეობათა ეკონომიურად განმტკიცებას მოწმობს ის, რომ კოლმეურნეობებში მარტო მეცხოველეობიდან მიღებული შემოსავალი ერთიანად გაიზარდა 1940 წელთან შედარებით. შესამჩნევად გადიდდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სატრაქტორო პარკის სიმძლავრე. სოფლების ერედვის, წინაგრის, არცევის, არგვეცის, ავნევის, თამარაშენის კოლმეურნეობებში მტს-ი ასრულებს მინდვრის ყველა ძირითად სამუშაოს. სტენდზე ნახავთ მოწინავე მექანიზატორების პ. მოსკალეცის, ი. ბერუაშვილისა და სხვათა პორტრეტებს, რომლებმაც სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს.

მემინდვრეობის პავილიონში ნაჩვენებია ოლქის მოწინავე კოლმეურნეობათა მიერ უკანასკნელ წლებში მოპოვებული წარმატებები. აქ ფართოდ არის წარმოდგენილი სტალინირის რაიონის სოფელ ძარწემის კოლმეურნეობა, რომელმაც 170 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 16,5 ცენტნერი შემოდგომის ხორბალი მოიყვანა.

გამოფენაზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი სიმინდის თესვისა და მოვლა-დამუშავების მოწინავე ხერხებსა და მეთოდებს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჯავის, სტალინირის, ლენინგორისა და ზნაურის რაიონების ათობით მთის კოლმეურნეობებში უკვე ფართოდ გავრცელდა სიმინდის თესვა.

სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ურწყავ ფართობზე სიმინდის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე ხშირად 35-40 ცენტნერს აღწევს. ლენინგორის რაიონის სოფელ წირახა და სტალინირის რაიონის სოფელ სნეკვის კოლმეურნეობებში, რომლებიც მთის ზონაში მდებარეობენ, სიმინდის საშუალო მოსავლიანობამ 25-30 ცენტნერი შეადგინა ჰექტარზე.

ვეგეტაციისა და მევენახეობის პავილიონი.
ფოტო ვ. უბოფენკოსი.

სამხრეთ ოსეთში სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს მეცხოველეობა წარმოადგენს. ამიტომ ბუნებრივია, რომ გამოფენის დამთვალიერებელთა ყურადღების ცენტრშია მეცხოველეობის პავილიონი.

ომამდელ წლებთან შედარებით თითქმის სამჯერ გაიზარდა ოლქში პროდუქტიული პირუტყვის სულადობა, ხოლო ღორებისა — 13-ჯერ. სამხრეთ ოსეთმა მეცხოველეობაში გასულ სამეურნეო წელს წარმატებით შეასრულა წველადობის დავალება — თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 781 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 750 ლიტრისა.

გამოფენაზე ნაჩვენებია სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდა მწველავის ი. კაბულოვას გამოცდილება, თუ როგორ მიიღო თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 3.000 ლიტრი რძე.

გამოფენაზე დიდი ყურადღება აქვს დათმობილი საკვები ბაზის ზრდას კოლმეურნეობათა და რაიონების მიხედვით.

მევენახეობისა და მეგეტაციის პავილიონში წარმოდგენილია ბაღებისა და ვენახების ზრდის მაჩვენებლები, მათი განვითარების პერსპექტიული გეგმები. აგრეთვე ყურადღებას იპყრობს სოფელ ავნევის კოლმეურნეობის მეხილეობის ბრიგადირის დ. დურგლიშვილის მიღწევები. იგი 34 ჰექტარი ბაღიდან ყოველწლიურად მაღალ მოსავალს იღებს. გასულ წელს ჰექტარზე 124 ცენტნერი ვაშლი მოიყვანა. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, წელსაც მაღალი მოსავალი მიიღო.

გამოფენის საერთო ხედი. ნახატი ი. ქოქოაშვილისა.

საბჭოთა მშენებლობა

დეპუტატები და ამომრჩევლები

— ამხანაგო ზაქრო! თქვენთან მეტად საჭირო საქმეზე მოვედი. ამ დილით ჩემი სახლის კედელზე ნაპრალი შევამჩნიე. ცოლ-შვილი შიშისაგან სახლში ვეღარ შედის. როგორც ჩვენს დეპუტატს და ამასთან გამოცდილ ინჟინერს გთხოვთ დახმარებას — შიმარია ამომრჩეველმა ნ. ქარქაშაძემ მშენებელ ინჟინერს, ტყიბულის საქალაქო საბჭოს დეპუტატს ზაქრო ოღაძეს.

საჭირო იყო ზომების სასწრაფოდ მიღება, ამომრჩევლისათვის დახმარების აღმოჩენა. დეპუტატმა სთხოვა საბჭოს აქტივისტებს — სამთო ინჟინერს თ. გორგაძეს, მშენებელ-ტექნიკოს ბ. მოსტოვოის, მარქშეიდერს გ. ფხალაძეს და მათთან ერთად ადგილზე გაეცნო მდგომარეობას. გამოირკვა, რომ საცხოვრებელი სახლი აგებული იყო არამდგრად, ე. წ. მცურავ ყამირზე. ზ. ოღაძემ გულდასმით შეისწავლა მთელი სამსახლო ნაკვეთი, მოძებნა მდგრადი ყამირი და რჩევა მისცა ნ. ქარქაშაძეს იქ გადაეტანა სახლი. მაგრამ დეპუტატი მარტო რჩევით როდი დაკმაყოფილდა. მან სთხოვა ბ. მოსტოვოის შეედგინა ახალი, საცხოვრებლად უფრო მოხერხებული სახლის პროექტი. ბ. მოსტოვოიმ პროექტი რამდენიმე დღეში დაამზადა. ამის შემდეგ ზ. ოღაძემ საქალაქო საბჭოს აღმასკომში დააყენა საკითხი ნ. ქარქაშაძისათვის საშენი მასალების გამოყოფის შესახებ. საქალაქო საბჭოს აღმასკომის დახმარებით ამომრჩეველმა მტკიცე ფასებში შეიძინა აგური, ხე-ტყე და სხვა საშენი მასალები. სახლის მშენებლობა დაიწყო. დეპუტატი ამომრჩეველს ტექნიკური ხასიათის რჩევა-დარიგებითაც დაეხმარა.

მშრომელთა შენიშვნებსა და მოთხოვნებს გულისხმიერად ეკიდებიან საქალაქო საბჭოს სხვა დეპუტატებიც. ისინი სისტემატურად იღებენ ამომრჩეველთა წერილებს, რომლებშიც წამოყენებულია მრავალი საყურადღებო წინადადება — საცხოვრებელი უბნების კეთილმოწყობის, წყალსადენის წესრიგზე მოყვანის, მცხოვრებთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ და სხვ.

დეპუტატები ამომრჩეველთა მოთხოვნებს აქტივისტების დახმარებით ასრულებენ. აი რამდენიმე მაგალითი. სამანქანო გზა, რომელიც საბჭოს ქუჩას უერთდება, უვარგისი, კეთილმოუწყობელი იყო. ამ საკითხის მოგვარება ამომრჩევლებმა დეპუტატს, ძველ მეშახტეს ვ. ჭელიშვილს სთხოვეს. დეპუტატმა გზის კეთილმოწყობის საკითხი საქალაქო საბჭოს აღმასკომში დააყენა. საბჭოს აღმასკომმა სპეციალური კომისია გამოჰყო. კომისიამ შეარჩია გზის ტრასა, შეადგინა ხარჯთაღრიცხვა. დაიწყო გზის კეთილმოწყობა. დეპუტატი ვ. ჭელიშვილი აქტიურად მონაწილეობდა საშენი მასალების ადგილზე მიტანის საქმეში. აქტივისტ შ. ბოჭორიშვილთან ერთად მან დიდი მუშაობა გასწია მოსახლეობის გამოსაყენებლად და ყველა იმ საქმის მოსაგვარებლად, რაზეც დამოკიდებული იყო დაწყებული სამუშაოს სწრაფად დამთავრება. ახლა ეს გზა ფართო და კეთილმოწყობილია. აღსანიშნავია, რომ მთელი მუშაობის პერიოდში დეპუტატს მხარში უდგნენ აქტივისტები ა. ბოჭორიშვილი, დ. ჭელიშვილი, კ. ბოჭორიშვილი და სხვები.

საქალაქო საბჭოს დეპუტატს ა. ქასრაშვილს ტყიბულში იცნობენ როგორც აქტიურ საზოგადო მუშაკს. იგი ყოველთვის ოპერატიულად ეხმაურება მშრომელთა მოთხოვნებს. ამ ზაფხულში ა. ქასრაშვილმა მიიღო სიგნალი იმის შესახებ, რომ განათლების ქუჩის მცხოვრებლები განიცდიდნენ სასმელი წყლის ნაკლებობას. დეპუტატი დაუკავშირდა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებას, აქტივისტებს და მათთან ერთად შეემუშავა წყალსადენის ქსელის გაფართოების გეგმა. მუშაობა დაიწყო. საჭირო გახდა თხრილების გაჭრა და შიგ რკინის ვიწროკვეთიანი მილების ჩაწყობა. ეს შრომატევადი სამუშაო მოსახლეობის მონაწილეობით შესრულდა. თავდადებული მუშაობით თავი ისახელეს აქტივისტებმა დ. საბელაშვილმა, ტ. დათიაშვილმა, ი. ქარქაშაძემ, ს. ცირეკიძემ, ი. წიქრიძემ, ტ. კაპანაძემ, ა. კვინიხიძემ, შ. ფურცხვანიძემ და სხვ. ამრიგად, წყალსადენის ქსელი სულ მალე გაფართოვდა.

ლენინის სახელობის შახტის ინტერნატში მცხოვრებ ახალგაზრდა მეშახტეებს კ. ხაჩიძესა და გ. ლომიძეს, რომლებიც მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში სწავლობენ, არ ჰქონდათ ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები. ოთახში 6 კაცი ცხოვრობდა, მაშინ როცა ორადგილიანი, სპეციალურად მოსწავლეებისათვის განკუთვნილი ოთახი არადანიშნულებისამებრ იყო გამოყენებული. ეს გაიგო დეპუტატმა ტ. გაბრიჭიძემ. მან სიგნალის შემოწმებაში დაიხმარია აქტივისტი რ. სადუნიშვილი. ფაქტები დადასტურდა. დეპუტატის ჩარევით მდგომარეობა მალე გამოსწორდა.

მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის დეპუტატებს მეტის გაკეთება შეუძლიათ, მათ ყოველთვის მხარს რომ უჭერდნენ სათანადო ორგანოები. მაგალითად, მიუხედავად დეპუტატების პროტესტისა, ქალაქში აიგო ასფალტის დამამზადებელი კუსტარული ქარხანა, რომელიც თავისი მხრჩოლავი კვამლით არემარეს წამლავს. ასევე აწუხებთ მშრომელებს სტალინის ქუჩაზე მდებარე პურის კუსტარული საცხობის ღუმელებიდან ამოსული კვამლი. მობინადრეები ფანჯრებსა და კარებს ვერ აღებენ. ამის შესახებ დეპუტატმა და მშრომელებმა არაერთხელ დააყენეს საკითხი საქალაქო საბჭოს აღმასკომში, მაგრამ დადებით შედეგს ვერ მიაღწიეს.

დეპუტატთა წინადადებებს, რომლებიც უშუალოდ მასების მოთხოვნებიდან გამომდინარეობენ, მთელი გულისყურით უნდა მოეკიდონ სათანადო ორგანოები.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გათუმის ნავსადგურში

ბათუმის ნავსადგურის შეუფერხებელ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული შავი ზღვის აუზში ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის სახელმწიფო გეგმების შესრულება. ათობით საზღვაო, საოკეანო და სამდინარო გემი ხერავს ყოველდღიურად შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილს. მათი უმეტესობა შემოდის, იცლება და იტვირთება ბათუმის ნავსადგურში. აქ გემებს შემოაქვთ მანქანები, მოწყობილობა, შაჰარი, ქვანახშირი, ფქვილი, ნავთობი და სხვა ძვირფასი სახალხო-სამეურნეო ტვირთი. ბათუმიდან კი გააქვთ ნავთობის პროდუქტები, ბრეში, ხილი დ სხვ.

მარტო 10 თვეში ბათუმის ნავსადგურმა მომსახურება გაუწია 82 ათასზე მეტ მგზავრს და ტვირთბრუნვა 1955 წელთან შედარებით გაადიდა 20 პროცენტით, ხოლო 1960 წლისათვის კი იგი 2,4-ჯერ გაიზრდება. ბევრი ამ ტვირთთაგანი იგზავნება ჩვენი სამშობლოს შორეულ კუთხეებში, მათ შორის ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში. (საკ. კორ.).

სურათზე: ყამირ და ნასვენ მიწებზე გასაგზავნი თვითსაცლელი ავტომანქანები ბათუმის ნავსადგურში.

ახალი საჭრანსპორტო საწარმო

თბილისის სამგზავრო-სავაგონო უბნის ტროტუარიზე მთავრდება ახალი სატრანსპორტო საწარმოს — მთლიანლითონის ვაგონთა ელექტრომოწყობილობის შესაკეთებელი ქარხნის მშენებლობა.

ამ საწარმოს აგების საჭიროება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ამიერკავკასიის რკინიგზაზე ბოლო ხანებში დიდად გაიზარდა მთლიანლითონის ვაგონების პარკი. ეს ვაგონები აღჭურვილია უახლესი ელექტრომოწყობილობით და სავენტილაციო დანადგარებით.

ახალი სატრანსპორტო საწარმოს მოწყობა უკვე მთავრდება. დანადგართა მონტაჟზე საუკეთესოდ მუშაობენ გამოცდილი ზეინკლები მ. გაბინაშვილი, ს. მანუკიანი და დ. ჩიხლაძე.

მემონტაჟეებმა გადაწყვიტეს უზრუნველყონ ამ ახალი საწარმოს ამუშავება მომავალი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ლომბიერი სასჯელით გათამამებული

გარეუბნის რაიონის სოფელ კუმისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას ცუდი სამეურნეო მაჩვენებლები როდი აქვს. წელს კოლმეურნეობამ 671 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 15,4 ცენტნერი ხორბალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ცენტნერისა. მეცხოველეობაშიც გასული სამეურნეო წელი კარგად დაამთავრეს. 193 ძროხიდან თვითეულზე საშუალოდ 2.056 ლიტრი რძე მიიღეს, გეგმა კი 1.600 ლიტრის მიღებას ითვალისწინებდა. წარმატებები აქვთ მეღორეობის განვითარების საქმეშიც. პარტიის გარეუბნის რაიონული კომიტეტისა და რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკებშიც ამ კოლმეურნეობის ქებას ხშირად გაიგონებთ.

წარმატებებისაგან თავბრუდახვეულმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. რაზმაძემაც ქედმაღლობა დაიწყო, გაყოყოჩდა, თავი კოლმეურნეობის შეუცვლელ მუშაკად წარმოიდგინა და ხელი მიჰყო საკოლმეურნეო ქონების განიავებას.

ერთ დღეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე კაბინეტში შესვლისთანავე სავარძელში დაეშვა, დაღლილის სახე მიიღო. მხოლოდ რამდენიმე წუთი მოანდომა მაგიდაზე დაწყობილი ქაღალდების გადახედვას... შემდეგ პირადი საქმეებით გატაცებულმა კოლმეურნეობის ხე-ტყის ბაზის გამგე ა. სუქიაზოვი დაიბარა და დავალება მისცა:

— აბა, ჩემო ერთგულო, ხომ იცი თბილისში სახლს ვაშენებ, ხე-ტყის მასალა მჭირდება. ჩვენს სახერხ ქარხანაში კოლმეურნეობის საჭიროებისათვის განკუთვნილი ბევრი საშენი მასალა გვაქვს... იგი მეც გამომადგება. ამას ვინ გაიგებს, ეს ჩვენსა და მანქანის მძღოლს შორის დარჩება...

ბაზის გამგემ სუქიაზოვმა თავმჯდომარეს არ აწყენინა, სწრაფად შეუდგა დავალების შესრულებას.

დღის მეორე ნახევარში ავტომანქანა კოლმეურნეობის ხე-ტყის სახერხ ბაზაში კოლმეურნეობის საშენი მასალით დატვირთეს.

ბაზის გამგემ კოლმეურნეობის კუთვნილი ხე-ტყე რაზმაძეს სახლში ჩუმად მიუტანა. ეს მოხდა შარშან სექტემბერში.

რაზმაძემ საკოლმეურნეო ქონებით სხვებიც მოიმადლიერა. გამგეობის წევრს მ. მდივანოვს გაუფორმებლად მისცა 5 კუბმეტრი ხე-ტყის მასალა. თავმჯდომარემ კოლმეურნეობის სხვა ქონებაც მითვისა. შარშან ზედმეტად მიიღო 857 კილოგრამი მარცვლეული, ჭასასყიდლად წაიყვანა ბატკანი, ორი წლის განმავლობაში მეღორეობის ფერმაში გასასუქებლად ჰყავდა ღორები, რომლებსაც კვებავდნენ კოლმეურნეობის საკვებით.

კოლმეურნეები იძულებული გახდნენ საკოლმეურნეო ქონების მიმთვისებლის შესახებ ეცნობებინათ ზემდგომი ორგანოებისათვის. მშრომელთა სიგნალები პარტიის გარეუბნის რაიკომმა მიიღო. რაიონულმა კომიტეტმა მამხილებელ წერილში მოყვანილი ფაქტების შემოწმება მეორე მდივანს ამხ. ი. მირიანაშვილს დაავალა, რომელმაც საკითხი შეისწავლა და რაიკომის ბიუროზე გაიტანა. ბიურომ განიხილა საკითხი და ზემოაღნიშნულ დანაშაულობათათვის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვ. რაზმაძეს აკმარა საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით, ხოლო პარტორგანიზაციის მდივანს ბ. ლაღიევს კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობისადმი პარტიული კონტროლის შესუსტებისათვის გამოუცხადა საყვედური (!).

პარტიის გარეუბნის რაიკომის ასეთი ლმობიერი სასჯელის შემდეგ ვ. რაზმაძე უფრო გათამამდა, მას წარმოუდგენია, რომ საბჭოთა კანონები მისთვის სავალდებულო არ არის, რომ მისთვის ყველაფერი ნებადართულია, რომ იგი ყოვლისშემძლეა.

კოლმეურნეებს საკოლმეურნეო ქონების მიმთვისებლის მიმართ ასეთი ლმობიერი სასჯელი არ აკმაყოფილებდათ, მაგრამ იფიქრეს, რომ თავმჯდომარე შემდეგ მაინც გამოსწორდებაო. სამწუხაროდ, მათი იმედი არ გამართლდა. პარტიის გარეუბნის რაიკომის ბიუროს დადგენილებიდან ოთხი თვე გავიდა, და კუმისის კოლმეურნეობაში კვლავ სერიოზული დარღვევებია. ეს დარღვევები განსაკუთრებით იგრძნობა შრომის ორგანიზაციის, აღრიცხვის, საკოლმეურნეო დემოკრატიის საქმეში, ამასთან კვლავ ვხვდებით საკოლმეურნეო ქონების განიავებასა და მითვისებას. როგორც ჩანს, არც რაიკომში არიან დაინტერესებული ბიუროს გადაწყვეტილების შესრულებით.

კოლმეურნეობის სახერხ ქარხანაში სულ ორი კაცი მუშაობს, ერთი დამხმარე მუშად, მეორე — მხერხავად. მხერხავს ნორმატივის მიხედვით ყოველი კუბმეტრი მასალის დახერხვისათვის უნდა დაერიცხოს 2 შრომადღე. წელს 11 თვეში ქარხანაში დაიხერხა 82 კუბური მეტრი ხის მასალა. მხერხავისათვის უნდა დაერიცხათ 164 შრომადღე, ფაქტიურად დაურიცხეს 440 შრომადღე. ამაზე რაიკომის ბიურომ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 19 ივლისს მისცა მითითება კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და აუკრძალა შრომადღეების გაფლანგვა, მაგრამ აქ რაიკომის გადაწყვეტილება მაუდქვეშ ამოდეს და მას ფორმალურად მოეკიდნენ. ეს ფაქტი გამონაკლისი როდია.

მეღორეობის ფერმაში კვლავ ვხვდებით მითვისების მიზნით საკოლმეურნეო ქონების გადამალვის ფაქტებს. მაგალითად, ამას წინათ იმ ფერმაში, სადაც გამგედ ვ. სააკოვია, საქართველოს კომპარტიის გარეუბნის რაიკომის მდივან ამხ. ვ. ზურაბიშვილთან ერთად ჩვენ ვნახეთ 23 გადამალული გოჭი, რომლებიც კოლმეურნეობის შემოსავალში არ ჰყავდათ ნაჩვენები. ამავე დღეს ფერმის გამგე ვ. სააკოვი და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე გ. კახელაშვილი თბილისის საკოლმეურნეო ბაზარზე სოფელ კუმისის კოლმეურნეობის 105 გოჭს ჰყიდდნენ ისე, რომ ამაზე გამგეობის თავმჯდომარისა და ბუხჰალტრის მიერ განკარგულება არ იყო გამოწერილი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. რაზმაძემ მიმდინარე წლის 15 ნოემბერს სოფელ კუმისის კოლმეურნეობის გამგეობის სახელზე დაწერა განცხადება, რომ 9 თვის წინათ კოლმეურნეობას სესხად მისცა მისი კუთვნილი ხე-ტყის მასალა, და სთხოვდა უკან დაბრუნებას. ამ განცხადებას მეორე მოანგარიშემ მ. აფრიამოვმა ასეთი რეზოლუცია დაუწერა: „მიეცეს რაზმაძეს თავისი კუთვნილი ხის მასალა, გამგეობის ოქმი № 31, 26 ნოემბერი 1956 წელი“ (!).

ფაქტიურად კოლმეურნეობაში არ არსებობს იმის დამამტკიცებელი არავითარი საბუთი, რომ ვ. რაზმაძემ კოლმეურნეობას ნამდვილად ასესხა ხე-ტყის მასალა.

ბიბლიოთეკა

არსებულ ცხობებს თუ დავუჯერებთ, სოფელ კუმისის კოლმეურნეობაში ყოველწლიურად ასრულებენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების გეგმას. მაგრამ რაიონის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკები ერთხელაც არ დაინტერესებულან გამოერკვიათ, თუ რა გზით ასრულებენ ამ გეგმებს კოლმეურნეობაში. ფაქტიურად გეგმას ასრულებენ შესყიდული პირუტყვით. ამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე შეისყიდეს 698.940 მანეთის პირუტყვი, მაშინ როცა შარშან კოლმეურნეობის მთლიანი ფულადი შემოსავალი მხოლოდ 1.070.535 მანეთი იყო. შესყიდულ პირუტყვზე ვხვდებით საეჭვო საბუთებს. მაგალითად, მეცხოველეობის ფერმის გამგემ ა. პალინცმა არმავირის რაიონში შეიძინა 27 ძროხა. მათ შორის 15 სულის შეძენაზე გაცემულია 60.300 მანეთი. საკვირველი ის არის, რომ ხელმოწერას ამოწმებს არმავირის რაიონის საბინაო განყოფილება, რომელიც აქ არაფერ შუაშია. თვითონ ფულის მიმცემი ა. პალინცი კი საბუთებზე ხელს არ აწერს.

კოლმეურნეობამ შარშან შეიძინა 38 სული ჯიშიანი ძროხა. მათ შორის 8 ძროხა (23.155 მანეთის ღირებულებისა) დაბალპროდუქტიული აღმოჩნდა და სახელმწიფოს ჩაბარდა, აქედან ერთ ჯიშიან ძროხაზე წუნდების არავითარი აქტი არ არსებობს. ასე საეჭვოდ შედგენილი საბუთებით ჩამოაწერეს კოლმეურნეობას პირუტყვი.

როგორ იბრძვის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად? ამჩნევს თუ არა საკოლმეურნეო ქონების გამფლანგველებს? სამწუხაროდ, არა. როგორ შეამჩნევს, როდესაც პარტორგანიზაციის მდივანი ბ. ლაღიევი ხელს უწყობს საკოლმეურნეო ქონების განიავებას. მაგალითად, მან ვინმე ა. ტონიანს წელს უფლება მისცა სანახევროდ გაეთიბა კოლმეურნეობის ფართობიდან 2 ტონა თივა. ტონიანმაც აღნიშნული თივა სახლში წაიღო. ეს ფაქტი შეამჩნიეს კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსმა გ. კანდელაკმა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ გ. კახელაშვილმა და აღგილზევე შეადგინეს აქტი. ეს აქტი აბლაც ინახება პარტიის გარეუბნის რაიკომში. პარტორგანიზაციის მდივნის საკითხი მსჯელობის საგნად არ გამხდარა. მანვე ხელი შეუწყო 105 გოჭის საკოლმეურნეო ბაზარში უგანკარგულებოდ გაყიდვას.

სოფელ კუმისის კოლმეურნეობის გამგეობის ცუდი მუშაობის კიდევ მრავალი მსგავსი ფაქტის დასახელება შეიძლება, მაგრამ მოყვანილიც კმარა იმისათვის, რომ საქართველოს კპ გარეუბნის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა კუმისის კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა სერიოზული მსჯელობის საგნად გახადონ, ბოლო მოუღონ საკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევას, საკოლმეურნეო ქონების განიავებას და ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის წინსვლას.

შ. ჭოჭუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის

სოციალისტური კანონიერების განმტკიცება უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი გაძლიერების საქმეში.

ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის პერიოდში საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელი ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მტრებზე გამარჯვების მიღწევისათვის „...საჭიროა საბჭოთა ხელისუფლების კანონებისა და ბრძანებების წმინდად დაცვა და თვალყურის დევნება, რომ მათ ყველა ასრულებდეს“ (თხზ., ტ. 29, გვ. 659-660).

საბჭოთა კავშირში ხორციელდება ყველაზე უფრო მოწინავე და ჰუმანური უფლებრივი იდეები.

ჩვენი ქვეყნის კანონები მიზნად ისახავენ საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების შემდგომ განმტკიცებას, საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებების, სოციალისტური საკუთრების დაცვას.

XXI კკ XX ყრილობამ მოიწონა სკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებები სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, საბჭოთა კონსტიტუციით გარანტირებული მოქალაქეთა უფლებების მკაცრად დაცვის საქმეში და პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს დაავალა ფხიზლად იდგნენ კანონიერების სადარაჯოზე, გადაჭრით და დაუზოგავად აღკვეთონ გამოვლინებანი უკანონობისა, თვითნებობისა, საბჭოთა მართლწესრიგის დარღვევისა.

საბჭოთა სახელმწიფო ყველა ღონისძიებას იღებს იმისათვის, რომ კანონების მოთხოვნებს განუხრელად იცავდნენ სახელმწიფო ორგანოები, თანამდებობის პირები, ცალკეული მოქალაქეები.

ამ დიდმა მუშაობამ, რომელსაც პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და იუსტიციის ორგანოები აწარმოებენ პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, უკვე გამოიღო დადებითი შედეგები.

მიუხედავად ამისა, ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არის საბჭოთა კანონიერების დარღვევის შემთხვევები, კვლავ ხდება ბევრი მძიმე და საშიში დანაშაული. კიდევ ბევრია გაფლანგვის, დატაცების, სპეკულაციისა და ხულიგნობის შემთხვევა.

ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი შემთხვევები, როცა ცალკეულ პირებს უსაფუძვლოდ აძლევენ პასუხისგებაში, უსამართლოდ ეკიდებიან ადამიანებს, ადგენენ სისხლის სამართლის საქმეებს ნაკლებმნიშვნელოვანი საქციელისათვის, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება მცირეწლოვანებს.

პროკურატურის ცალკეული მუშაკები სუსტად ახორციელებენ საპროკურორო ზედამხედველობას და ზოგჯერ არ ესმით ის, რომ პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ პროკურატურას, რომელსაც ევალება ზედამხედველობა საბჭოთა კანონების ზუსტად შესრულებაზე.

ყველასათვის ცნობილია, თუ რა მნიშვნელობა აქვს სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებთან ბრძოლას.

უკანასკნელ ხანს პროკურატურის ორგანოების მიერ სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემული სახელმწიფო სახსრების მთელი რიგი მსხვილი გამფლანგველები. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონში ლაგოდეხის თამბაქოს ფაბრიკის ყოფილმა მუშაკებმა, რომლებიც შეთანხმებული იყვნენ სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ ყოფილ თავმჯდომარე გ. ვ. ნატროშვილთან და ამ კოლმეურნეობის ბრიგადირებთან, გაფლანგეს დიდძალი სახელმწიფო სახსრები.

ლაგოდეხის თამბაქოს ფაბრიკის დირექტორის ყოფილმა მოადგილემ დ. გ. სუპატაშვილმა, ამავე ფაბრიკის საწყობის ყოფილმა გამგემ ნ. პ. დვალმა, თამბაქოს დამამზადებელი პუნქტების საწყობების ყოფილმა გამგეებმა დ. წ. დარბაიძემ, ა. ი. მაჭავარიანმა, ი. ვ. ლატიბაშვილმა, ნ. გ. გოგოლაძემ და ა. ვ. მაჭარაშვილმა დანაშაულებრივი კავშირი დაამყარეს კოლმეურნეობათა მუშაკებთან, აძლევდნენ მათ ქვითრებს თითქოს სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად მიღებული თამბაქოს ანგარიშში და ასეთი ქვითრებისათვის იღებდნენ ფულს. ამ გზით დამნაშავეებმა მითვისეს დაახლოებით 300 ათასი მანეთი. უკანონოდ იქნა გაცემული დაახლოებით 600 ათასი მანეთი თითქოს სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით ჩაბარებული თამბაქოსათვის პრემიის სახით.

რესპუბლიკის პროკურატურამ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა სახელმწიფო სახსრების გამფლანგველები. დამნაშავენი მსჯავრდადებული არიან, მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ხანგრძლივი ვადით.

აი მსხვილი სახელმწიფო თანხის გაფლანგვის მეორე შემთხვევა:

ტყიბულქვანახშირის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილების სისტემაში მოკალათებულმა სოციალისტური ქონების დამტაცებელთა ჯგუფმა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დაახლოებით 700 ათასი მანეთი გაფლანგა.

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულებმა სასადილოს ყოფილმა გამგემ შ. ნ. ხურციკიძემ და სხვებმა განაცხადეს, რომ მოსალოდნელი რევიზიების შესახებ მათ წინასწარ აფრთხილებდა მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსი ა. შ. კაზიშვილი და ეს მათ საშუალებას აძლევდა დაეფარათ ჩადენილი გაფლანგვის კვალი.

ამის შედეგად მარტო შ. ნ. ხურციკიძემ გაფლანგა დაახლოებით 100 ათასი მანეთი.

საშიში დანაშაულია სპეკულაცია. პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოებმა გააძლიერეს ბრძოლა სპეკულაციასთან. უკანასკნელ ხანს გამოვლინებულ იქნენ მსხვილი სპეკულანტები. მათ შორის არიან ისეთი პირები, რომლებიც პირადი გამორჩენის მიზნით ეწყობიან დამამზადებელ ორგანოებში ან მოქმედებენ კოლმეურნეობათა სახელით და ასე შენიღბულნი ყიდულობენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, მიაქვთ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ყიდიან გადამყიდველებზე და ასეთი სპეკულაციური ოპერაციებით ჯიბეს ისქელებენ.

ამას წინათ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მილიციისა და პროკურატურის მუშაკების ერთობლივი ღონისძიებებით მხილებულ იქნა ცეკავშირის სისტემის გუდაუთის დამზადების რაიონულ კანტორაში მოკალათებულ სპეკულანტთა ჯგუფი. კანტორის დირექტორი ი. ვ. აბგაჯავა და შტატისა და შტატგარეშე დამამზადებლები ა. ა. ავეტისიანი, ვ. ვ. შინგელაია, ნ. ხ. ანკვაბი არღვევდნენ საკომისიო ვაჭრობის პირობებსა და წესებს, ეწეოდნენ სპეკულაციურ ოპერაციებს და ათეულ ათასობით მანეთს ითვისებდნენ.

დამნაშავენი მალე წარსდგებიან სამსჯავროს წინაშე.

გალის რაიონში გამოვლინებულ იქნენ საქმოსნები — უშრომლად ცხოვრების მოყვარულები — ლენინგრადიდან ჩამოსული ი. მ. ზამსკი და სვერდლოვსკიდან ჩამოსული კ. ა. ბუდნიცკი. ი. მ. ზამსკი სოფელ ოტობაიის კოლმეურნეობა „მშრომელი გლეხის“ წარმომადგენლად მოგვევლინა და სოფელ ოტობაიის კოლმეურნეებსა და ლენინგრადის არტელ „პობედას“ შორის ლუფის რეალიზაციის საქმეში შუამავლობისათვის ჩაიჯიბა 83 ათასი მანეთი, ხოლო კ. ა. ბუდნიცკიმ მეორე კოლმეურნეობაში — დაახლოებით 72 ათასი მანეთი.

კოლმეურნეობა „მშრომელი გლეხის“ თავმჯდომარის ნ. კ. დანელიას წინადადებით კოლმეურნეთა საერთო კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგება სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების პრინციპებს. ამ უკანონო გადაწყვეტილების თანახმად კოლმეურნეობამ დაიწყო ლუფის შესყიდვა ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან. 120 მანეთად ნაყიდ კილოგრამ ლუფას კოლმეურნეობა ყიდდა 150 მანეთად. ამრიგად, კოლმეურნეობა „მშრომელი გლეხი“ საქმოსნებმა დამამზადებელ სავაჭრო ორგანიზაციად გადააქციეს.

საგამომძიებლო ორგანოებმა ამ ცოტა ხნის წინათ მიიღეს სიგნალები იმის შესახებ, რომ ქალაქ თბილისის მცხოვრები ა. მ. ბუნატიანი, რომელიც წინათ ოთხჯერ იყო მსჯავრდადებული ქურდობისა და ხულიგნობისათვის, ფარულად კერავს ფეხსაცმელს. გაჩხრეკის დროს ა. მ. ბუნატიანის ბინაში აღმოჩნდა 49 წყვილი მამაკაცის ფეხსაცმელი და დიდძალი ტყავეული, რომელიც გადამალული იყო ძაღლის ჯიხურში. ფეხსაცმლის კერვაში ა. მ. ბუნატიანს ეხმარებოდნენ მის მიერ კერძოდ დაქირავებული პირები გ. დურგალოვი და ო. მინასიანი.

ა. მ. ბუნატიანი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში და მალე წარსდგება სასამართლოს წინაშე.

საბჭოთა კანონებით დამყარებული საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ ერთ-ერთი საშიში დანაშაულობაა ხულიგნობა. ხულიგნურ გამოვლინებათა რაოდენობა სისტემატურად მცირდება, მაგრამ მას ჯერ კიდევ ხშირად აქვს ადგილი. ხულიგნობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია მოსახლეობაში და განსაკუთრებით ახალგაზრდობაში აღმზრდელობითი მუშაობის თავმინებებულობა.

ხულიგნობის წინააღმდეგ აუცილებელია საზოგადოებრივი აზრის დარაზმვა. თვითეულ საბჭოთა მოქალაქეს თავის მოვალეობად უნდა მიაჩნდეს ხულიგნობის ალაგმვა, იგი ვალდებულია წესრიგისაკენ მოუწოდოს იმათ, ვინც ფიქრობს, რომ საბჭოთა კანონები მისთვის არ არის დაწერილი, ვინც ბოროტად არღვევს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, ვინც არ მუშაობს და არც სხვებს აძლევს დამშვიდებული ცხოვრებისა და მუშაობის საშუალებას.

პროკურორები იშვიათად გამოდიან მოხსენებებით საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში. კარგად დაყენებული უფლებრივი პროპაგანდა კი უეჭველად დადებით შედეგებს მოგვცემდა.

სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის სახელმწიფო აპარატის ყველა ორგანოს, მათ შორის პროკურატურის ორგანოების მუშაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მშრომელთა საჩივრების სწორად და დროულად გადაჭრას.

მშრომელთა განცხადებები და საჩივრები წარმოადგენს სიგნალებს კანონის დარღვევის შესახებ, ხშირად საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ კანონიერების მდგომარეობაზე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების ან ცალკეული თანამდებობის პირების მთელ საქმიანობაზე. ამიტომ განცხადებებისა და საჩივრების განხილვას მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ.

პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოები ფხიზლად უნდა იდგნენ სოციალისტური კანონიერების დაცვის სადარაჯოზე, ულმობლად ებრძოდნენ დანაშაულობებს, რომლებიც მიმართულია მოქალაქეთა ცხოვრებისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ, სოციალისტური საკუთრებისა და მოქალაქეთა პირადი საკუთრების დამტაცებლებს, აღწევდნენ ისეთ მდგომარეობას, რომ კანონის არც ერთი დამრღვევი დაუსჯელი არ დარჩეს.

ამავე დროს უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მთლიანად აღმოიფხვრას უკანონობა და თვითნებობა, მკაცრად იქნას დაცული პიროვნების ხელუხლებლობის კონსტიტუციური პრინციპი, არ იქნას დაშვებული უდანაშაულო ადამიანის ს

ჯოუ ენ-ლაი პაკისტანში

კარაჩი, 26 დეკემბერი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ და მისმა თანმხლებმა პირებმა გუშინ დაათვალიერეს ვარსაკის ჯებირის მშენებლობა მდინარე ქაბულზე პეშავერის ჩრდილო-დასავლეთით.

ჯებირის მშენებლები გულთბილად მიესალმნენ ჯოუ ენ-ლაის. შემდეგ ჩინელი სტუმრები გაემგზავრნენ ქალაქ მარდანში, რომელიც შაქრის ლერწის გაშენების რაიონის ცენტრშია.

აზიის ქვეყნების მწერალთა კონფერენციაზე

დელი, 25 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ აზიის ქვეყნების მწერალთა კონფერენციის საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ ინდოეთის დელეგატები. სახუმ ილაპარაკა ორიგინალ ენაზე ლიტერატურის განვითარების გზების შესახებ, ხოლო სრინივას რაგჰავანი შეეხო თამილის ენაზე ლიტერატურის მდგომარეობას. დელეგატმა კ. ნარაიანმა ილაპარაკა, თუ როგორ მუშაობენ ანდჰრას შტატის მწერლები, რომლებიც ტელუგუს ენაზე წერენ.

დღეს გრძელდებოდა კონფერენციის პლენარული სხდომები, რომლებზეც განხილულ იქნა დღის წესრიგის სხვადასხვა პუნქტები. პირველი გამოვიდა უზბეკი პოეტი ყალი ზულფია, რომელმაც ილაპარაკა შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკების ლიტერატურისა და კულტურის განვითარებაზე. ზულფიამ დაახასიათა შუა აზიის რესპუბლიკების თვალსაჩინო მწერალთა შემოქმედება და შეეხო საბჭოთა ხალხისა და აზიის ქვეყნების ხალხთა კულტურული ურთიერთობის განვითარების საკითხს. მან აღნიშნა, რომ ეს ურთიერთობა მტკიცდება და რომ საბჭოთა ადამიანებს სულ უფრო მეტი მეგობარი უჩნდებათ აზიაში.

საბჭოთა მწერლებმა მთელი დარბაზის ტაშის გრიალში დაადასტეს კონფერენციის პრეზიდიუმს ბევრი წიგნი, რომლებიც საბჭოთა კავშირში გამოიცა და თარგმნილია ჩინური, იაპონური, ინდური, ბირმული, არაბული და სხვა ენებიდან.

საბჭოთა კავშირის ამიერკავკასიის რესპუბლიკების ლიტერატურის შესახებ მოხსენება გააკეთა ირაკლი აბაშიძემ. ორატორმა აღნიშნა, რომ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის მწერალთა შემოქმედებას საფუძვლად უდევს ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის იდეები.

შემდეგ კონფერენციამ მოისმინა სამი ბენგალელი მწერლის: გოპალ ჰოლდარის, ტარაშარკარ ბანერჯის და მანოჯ ბასუს მოხსენება. ყველა ისინი წარმოადგენენ ინდოეთის ყველაზე უფრო განვითარებულ ლიტერატურას ბენგალის ენაზე, რომელზეც წერდა დიდი რაბინდრანათ თაგორი.

სხდომამ დიდი ინტერესით მოისმინა აგრეთვე მწერალ ალი ა.ჰმად სურურის მოხსენება ლიტერატურის შესახებ ურდუს ენაზე.

საომარი მზადება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი, 26 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდი“ იუწყება, რომ 400 ათასი აკრით უნდა გაფართოვდეს არმიის ქმიური კორპუსის საცდელი პოლიგონი დაგუეი (იუტას შტატი). ცნობაში აღნიშნულია, რომ დაგუეში წარმოებს ყველა ტიპის ქიმიური იარაღის, აგრეთვე „ბიოლოგიური იარაღის“ გამოცდა.

„ინტერნეიშნლ ნიუს სერვისის“ საგენტოს კორესპონდენტი, რომლის ცნობაც ამ თემაზე გაზეთმა გამოაქვეყნა, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში „ბიოლოგიური იარაღი იმ ზომამდეა განვითარებული, რომ არმიისათვის საჭირო გახდა გაცილებით მეტი ტერიტორია ამ იარაღის გამოსაცდელად“.

როგორც კორესპონდენტი დასძენს, თუმცა სამხედრო უწყებამ უარი თქვა ოფიციალურ კომენტარზე პოლიგონის გაფართოების გამო, მისმა წარმომადგენელმა განაცხადა, „რომ ამერიკის პოლიტიკა მოითხოვს, რომ ქიმიურმა კორპუსმა განავითაროს ყველაზე გამანადგურებელი იარაღი“...

საზღვარგარეთის გამოხმაურება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა გამო

ალბანეთი

ტირანა, 25 დეკემბერი. (საკდესი). დღეს გაზეთები თვალსაჩინო ადგილას აქვეყნებენ ცნობებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ, რომელიც გაიმართა 20-24 დეკემბერს.

ბელგია

ბრიუსელი, 25 დეკემბერი. (საკდესი). ბელგიის გაზეთებმა დღეს გამოაქვეყნეს ცნობები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ. გაზეთმა „ლიბრ ბელჟიკმა“ ეს ცნობა მოათავსა სათაურით, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიზანია სსრ კავშირის ეკონომიური ძლიერების შემდგომი გადიდება.

გაზეთი „სუარი“ სათაურში აღნიშნავს: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს წარმატებებს, რომლებიც მიღწეულია 1956 წლის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგად“.

იტალია

რომი, 25 დეკემბერი. (საკდესი). იტალიის რადიოს დილის გადაცემაში გამოქვეყნდა ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და მის გადაწყვეტილებათა შესახებ. ცნობაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მეექვსე ხუთწლიან გეგმას საფუძვლად დაედება მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარება. ცნობაში არაფერი თქმულა პლენუმის გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ეხება საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვან ამაღლებას. ამასთანავე ცნობაში მთავარი ყურადღება მიპყრობილი ჰქონდა დაგეგმვის დარგში არსებულ ნაკლოვანებებს, რომლებიც აღნიშნულია პლენუმის დადგენილებაში.

შვეიცარია

ჟენევა, 25 დეკემბერი. (საკდესი). შვეიცარიის რადიომ დღეს გამოაქვეყნა ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ. მოკლედ ჩამოყალიბა რა პლენუმის დადგენილებათა შინაარსი, ცნობის ავტორმა, კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარება რჩება საბჭოთა კავშირის ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლად“. ცნობაში მოყვანილია პლენუმის დადგენილების ის ადგილები, სადაც ნათქვამია, რომ კაპიტალისტურ სამყაროში სულ უფრო მწვავედ და ფართოდ ჩაღდება კონკურენტული ბრძოლა სხვადასხვა ქვეყანას შორის, მონოპოლისტურ გაერთიანებათა შორის, რომ კოლონიური სახელმწიფოები თავიანთი იმპერიალისტური ექსპანსიით ეძებენ კაპიტალის გამოყენების ახალ სფეროებს, ისწრაფვიან გაფართოონ კაპიტალისტური ექსპლოატაციის არე პირველ რიგში ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების დამონების გზით და რომ ეს იმპერიალისტური ექსპანსია გარდუვალად იწვევს ამ ქვეყნების ხალხთა წინააღმდეგობის ზრდას და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრ აღმავლობას.

საფრანგეთი

პარიზი, 25 დეკემბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს პარიზის პრესა საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს. ამ გადაწყვეტილებათა შინაარსი გადმოცემულია ყველა გაზეთში თვალსაჩინო ადგილზე. თავს იკავებენ რა კომენტარებისაგან, გაზეთებმა ცნობები პლენუმის შესახებ დიდი სათაურებით დაბეჭდეს. „სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, — ნათქვამია გაზეთ „ფიგაროს“ სათაურში, — გადაწყვიტა: მტკიცედ განახორციელოს ლენინური პოლიტიკა და XX ყრილობის გადაწყვეტილებანი“. „საბჭოთა ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი მუშაობა მიუძღვნა ეკონომიურ პრობლემებს“, — ხაზგასმით აღნიშნულია გაზეთ „ფრან-ტირერის“ სათაურში.

მემარჯვენე გაზეთები ცდილობენ ხაზგასმით აღნიშნონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა ის ადგილები, რომლებშიც ლაპარაკია გეგმების არამთლიანად შესრულების შესახებ საბინაო მშენებლობის, ქვანახშირის ამოღების, ლითონებისა და ხე-ტყის მასალების გამოშვების დარგში.

გაზეთმა „ლუმანიტემ“ პლენუმის დადგენილებანი დაწვრილებით გამოაქვეყნა. აღნიშნავს რა წარმატებებს, რომლებიც სოციალისტურმა მრეწველობამ მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს მოიპოვა, გაზეთი მათ აფასებს, როგორც კომუნიზმის გზაზე საბჭოთა კავშირის მიერ ახალ წინგადადგმულ ნაბიჯს.

ინგლისი

ლონდონი, 25 დეკემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტომ გადასცა ცნობები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ და პლენუმის დადგენილებათა შესახებ. სააგენტოს მოჰყავს პლენუმის დადგენილების ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის წარდგენის შესახებ. რეიტერის სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი აპირებს უზრუნველყოს მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარება და ისახავს მთავარ ეკონომიურ ამოცანას — ისტორიულად უმოკლეს ვადაში დაეწიოს და გაუსწროს ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

ამასთან სააგენტო არაფერს ამბობს იმაზე, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა ხუთწლიანი გეგმის ისეთი მთავარი ამოცანებიც, როგორიც არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობის განხორციელება და ამ საფუძველზე საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება.

იუგოსლავია

ბელგრადი, 25 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთები „ბორბა“ და „პოლიტიკა“ აქვეყნებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა მოკლე შინაარსს. „ბორბამ“ ეს ცნობა მოათავსა სათაურით: „მიღებულია გადაწყვეტილებანი ეკონომიკის განვითარებისა და სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხებზე“.

რუმინეთი

ბუქარესტი, 25 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთებმა „სკინტეიამ“ და „აპერარია პატრიეიმ“ დღეს გამოაქვეყნეს საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ.

აგრესიისათვის ჩაცემული გამანადგურებელი ლახვარი

ხანოი, 25 დეკემბერი. (საკდესი). სტატიაში სათაურით „ეგვიპტელი ხალხისა და მშვიდობის ძალების დიდი გამარჯვება“ გაზეთი „ნიან ზანი“ დღეს წერს, რომ ეგვიპტიდან ინგლისისა და საფრანგეთის აგრესიული ჯარების გაყვანა ეგვიპტელი ხალხის, ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ძალების დიდი გამარჯვებაა.

კოლონიზატორებმა, რომლებიც ცდილობდნენ ძალით ჩაეგდოთ ხელში სუეცის არხი და დაემორჩილებინათ ეგვიპტელი ხალხი, სასტიკი დამარცხება განიცადეს. ეგვიპტის ხალხმა და მთავრობამ მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მხარდაჭერით აგრესორებს ერთხელ კიდევ მიაყენეს გამანადგურებელი დარტყმა და კარგი გაკვეთილი მისცეს იმათ, ვინც კოლონიალიზმის აღორძინებაზე ოცნებობს.

საქალაქთაშორისო მაჯრის კრივში

ერევნისა და თბილისის მოკრივეთა საქალაქთაშორისო ასპარეზობამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს შეჯიბრება გაიმართა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ცირკში 25 დეკემბერს. მოიწყო შეხვედრაში მონაწილეთა პარადი, მოკრივეებმა ერთმანეთს თაიგულები გადასცეს. თბილისის გუნდმა სტუმრებს სამახსოვრო ვიმპელი უძღვნა.

მსაჯი რინგზე იხმობს უმჩატესი წონის მოკრივეებს ჰ. გასპარიანსა და ნ. ქიქავას. ერევნის გუნდის წარმომადგენელმა ჰ. გასპარიანმა აჩვენა ტექნიკურად მრავალფეროვანი ბრძოლა და გამარჯვება მოიპოვა.

მჩატე წონაში თბილისელი შ. ხუდოიანის წინააღმდეგ გამოვიდა ლ. ვანიანი. აქ ორთაბრძოლა წარიმართა თბილისელი სპორტსმენის უპირატესობით. მან თავის გუნდს პირველი გამარჯვება მოუტანა.

ქვემსუბუქი წონის მოკრივეების კ. კარაპეტიანისა (ერევანი) და ლ. ანდღულაძის (თბილისი) შეხვედრაში გამარჯვება ქულებით ერევნელ მოკრივეს ხვდა. ანგარიში სტუმართა სასარგებლოდ წარიმართა.

რინგზე არიან მსუბუქი წონის მოკრივეები კ. ზუბაიშვილი (თბილისი) და ვ. ათანესიანი (ერევანი). ზუბაიშვილმა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა შეხვედრა და თავის გუნდს მოიგება გამარჯვება მოუპოვა.

პირველ ქვესაშუალო წონაში კ. გედინიანის (ერევანი) წინააღმდეგ იბრძოდა შ. ვართანიანი (თბილისი). გამარჯვება ქულებით თბილისელ მოკრივეს მიეკუთვნა.

მეორე ქვესაშუალო წონაში თბილისელი ე. სტეპანოვი დამარცხდა ჰ. გასპარიანთან. ანგარიში კვლავ გათანაბრდა. პირველ საშუალო წონაში თბილისელებს რინგზე მებრძოლი არ გამოუყვანიათ, ერევნელებს — ქვემძიმე და მძიმე წონაში. მატჩის საბოლოო შედეგისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა გ. დარბაისელისა (თბილისი, მეორე საშუალო წონა) და კ. ხაჩატურიანის შეხვედრას. გ. დარბაისელმა ყველა რაუნდი ტემპიან ბრძოლაში ჩაატარა და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

ამრიგად, საქალაქთაშორისო მატჩი კრივში ერევნისა და თბილისის ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, დამთავრდა თბილისელ მოკრივეთა გამარჯვებით ანგარიშით 15:12.

ერევნისა და თბილისის მოკრივეთა საქალაქთაშორისო მატჩი. სურათზე: მსუბუქი წონის მოკრივეებს კ. ზუბაიშვილისა (მარჯვნივ) და ვ. ათანესიანის (ერევანი) შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ფესტივალისადმი მიძღვნილი მეგობრობის სალამო

დროშებით, ლოზუნგებით, პლაკატებითა და ყვავილებით მოურთავთ მოსწავლეებს თბილისის 103-ე რუსული საშუალო სკოლის შენობა. აქ მოიწყო ახალგაზრდობის ფესტივალისადმი მიძღვნილი მეგობრობის სალამო, რომელსაც ესწრებოდნენ მოსწავლეები, მშობლები და პედაგოგები.

სალამო შესავალი სიტყვით გახსნა სკოლის დირექტორმა გ. შანიძემ. მოხსენება „საბჭოთა ხალხის დიადი მეგობრობა“ გააკეთა მეთერთმეტეკლასელმა ს. გლუშჩენკომ. მეცხრეკლასელმა ლ. ბუკშინამ ილაპარაკა საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობის მეგობრობაზე.

მოსწავლეებს მიესალმა სკოლის შეფის — თბილისის ავტობაზის პროფორგანიზაციის თავმჯდომარე ბ. კრასნიკოვი.

პოლიტექნიკურ სწავლებაში მოპოვებული წარმატებებისათვის, ფიზკულტურასა და სპორტში თავის გამოჩენისათვის სკოლის დირექციამ მოსწავლეთა ერთ ჯგუფს გადასცა გარდამავალი ვიმპელები და ქების სიგელები.

მოსწავლეებმა და მშობლებმა დაათვალიერეს პოლიტექნიკური სწავლებისადმი მიძღვნილი გამოფენა. გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა.

* * *

სურათზე: მოსწავლეები ათვალიერებენ პოლიტექნიკური სწავლებისადმი მიძღვნილ გამოფენას.

ფოტო შ. გოქაძისა.

სახალხო მოქმედთა რაიონული შეკრება

ახალციხე. (საკ. კორ). რაიონული გაზეთის „წითელი დროშის“ რედაქციამ მოაწყო სახალხო მოქმელთა და დამწყებ პოეტთა რაიონული შეკრება.

ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების შეგროვებისა და შესწავლის შესახებ მოხსენება წაიკითხა დოცენტმა ი. მაისურაძემ.

რაიონის სახალხო მთქმელთა და დამწყებ პოეტთა შემოქმედების მიმოხილვა გააკეთა რაიონული გაზეთის რედაქტორმა ნ. ფარჯანაძემ.

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ფოლკლორისტი მ. ინასარიძე, მასწავლებელი ი. დევნოსაძე. საკუთარი ლექსები წაიკითხეს დამწყებმა პოეტებმა ი. ნებაძემ, ვ. გელაშვილმა, ქ. ციცქიშვილმა, ც. ინდუაშვილმა. მასწავლებელმა რ. ღამბაშიძემ წაიკითხა სახალხო მთქმელის ი. ასპანიძის ლექსი „სამშობლო“. საკუთარი ლექსი წაიკითხა პოეტმა შ. ლომსაძემ.

რაიონის ლიტერატურულ ძალებთან მუშაობის გაუმჯობესების მიზნით „წითელი დროშის“ რედაქციასთან შეიქმნა ლიტერატურული წრე.

საახალწლო ნაძვისხეების გაყიდვა

თბილისში დაიწყო საახალწლო ნაძვისხეების გაყიდვა. ნაძვისხეები იყიდება 19 ადგილს — საბჭოთა და კოლექტივიზაციის ყუჩების კუთხეში, ხუდადოვის ქუჩაზე, პლეხანოვის სახელობის კლუბთან, კინოსტუდიასთან, ლენინის, შაუმიანის, გმირთა და კოლმეურნეობის მოედნებზე, უნივერსიტეტის პირდაპირ, რუსთაველის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კუთხეში, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ეზოში, სამასი არაგველის ხიდთან და სხვ.

ნაძვისხის მოსართავი სათამაშოები, თბილისის მაღაზიებს გარდა, გაიყიდება ქუჩებსა და მოედნებზე სპეციალურად მოწყობილ კიოსკებში.

დიდი მოგება

ამ დღეებში თბილისში ორჯონიკიძის რაიონის № 3530 ცენტრალურ შემნახველ სალაროში მოქალაქე მ. ნ-მ წარადგინა 1948 წლის 2%-იანი სახელმწიფო სესხის 035905 სერიის № 46 — 50 ათასმანეთიანი ობლიგაცია, რომელსაც ხვდა 51.600 მანეთი მოგება.

* * *

1948 წლის 2%-იანი სახელმწიფო სესხის დაფარვის მე-5 ტირაჟის ცხრილი (გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტის“ 1956 წლის 26 დეკემბრის ნომერში) ოფიციალური დოკუმენტია, რომლის მიხედვით შემნახველი სალაროები დაფარული ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებას გაანაღდებენ 1957 წლის 3 იანვრიდან.

საჯარო ლექცია

27 დეკემბერს საღამოს 8 საათზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, 29) საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილება აწყობს საზოგადოების წევრის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის გ. ჯიბლაძის საჯარო ლექციას თემაზე: „ევროპის ხელოვნების ძეგლებთან“ (თბომავალ „პობედით“ ევროპის ირგვლივ ექსკურსიის მონაწილის შთაბეჭდილებანი).

28 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, 29) მოწვეულია მუშ-სოფლ-კორთა საქალაქო კრება.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე 1956-57 სასწავლო წლისათვის მიღება იწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. აგრონომიული (სუბტროპიკული სპეციალობით, კვალიფიკაცია — სწავლული აგრონომი), 2. მეაბრეშუმეობის (კვალიფიკაცია — სწავლული აგრონომი), 3. სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნოლოგიის (კვალიფიკაცია — ინჟინერ-ტექნოლოგი).

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი განუსაზღვრელად ასაკისა, რომლებსაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებმაც საშუალო სკოლა დამთავრეს ოქროს ან ვერცხლის მედლით, და ტექნიკუმის წარჩინებით კურსდამთავრებულნი, რომლებიც მუშაობენ სოფლის მეურნეობის წარმოებაში და ინსტიტუტში შემოდიან სპეციალობის მიხედვით; ყველა დანარჩენი მისაღებ გამოცდებს აბარებს შემდეგ საგნებში:

აგრონომიულ და მეაბრეშუმეობის სპეციალობებზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ფიზიკასა და ქიმიაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნოლოგიის სპეციალობაზე, გარდა ზემოთ აღნიშნული საგნებისა, გამოცდა — მათემატიკაში.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე ა. წ. 31 დეკემბრამდე სპეციალობის ზუსტი ჩვენებით.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

ავტობიოგრაფია, საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, სამი ფოტოსურათი ზომით 3×4 სმ., ცნობა სამუშაო ადგილიდან სოფლის მეურნეობაში მუშაობის შესახებ სტაჟის, თანამდებობისა და სპეციალობის აუცილებელი აღნიშვნით, დამოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელისა და კადრების განყოფილების უფროსის ხელმოწერით, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286).

მისაღებ გამოცდები დაიწყება 5 იანვრიდან.

ყველა კურსის სტუდენტთა აკადემიური შეკრება დანიშნულია 1957 წლის 20 იანვარს.

მისამართი: ქ. ქუთაისი, 1905 წლის რევოლუციის ქ. № 2.

1957 წლის 30 იანვარს
ქ. ხარკოვში შ ე დ გ ე ბ ა
სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მოგებებიანი სესხის მოგებათა 55-ე ტირაჟში.
ამ ტირაჟში შეიძლება 400-დან 50.000-მდე მანეთის მოგება
ტირაჟში გათამაშდება 50.000, 10.000, 5.000, 1.000 და 400-მანეთიანი მოგებანი.
ყოველწლიურად ეწყობა სესხის მოგებათა ექვსი ძირითადი და ერთი დამატებითი ტირაჟი.
სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.
შეიძინეთ სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მოგებებიანი სესხის ობლიგაციები მოგებებიანი სესხის მოგებათა ტირაჟში.
საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე: 1. ელექტრონიკის განყოფილების გამგე — 1, 2. ავტომატური რეგულირების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1.
კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებას უნდა დაერთოს ორ-ორ ცალად: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის, სამეცნიერო წოდებისა და ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი საბუთების ნოტარიულად შემოწმებული პირები, სამეცნიერო შრომები და სამსახურებრივი დახასიათება მუშაობის ადგილიდან.
კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.
განცხადებები მიიღება ინსტიტუტში —თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიასთან ჟალიგდება
ვოდევილებისა და მინიატიურების თ ე ა ტ რ ი
ცხადდება კონკურსი მსახიობთა და მუსიკოსთა პერსონალით თეატრის დასაკომპლექტებლად.
მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ ფილარმონიის საესტრადო განყოფილებას (ბლეხანოვის პროსპ. № 123) 30 დეკემბრამდე.

ღ ღ ე ს
თბილისის თეატრებში
ოპერისა და ბალეტის — ალეკო (დ. ანდღულაძისა და ბ. ამირანაშვილის მონაწილეობით), რუსთაველის სახელობის — ოიდიპოს მეფე (ს. ზაქარიაძის მონაწილეობით), მარჯანიშვილის სახელობის — სამი ბულბულის ქუჩა № 17, გრიბოედოვის სახელობის — საუცხოო შინადონობი, სომხური დრამის — სამველი, მოზარდ მაყურებელთა რუსული — კომბლე (10 სა).

საქართველოს სრ ტელევიზიის ცენტრი
ხუთშაბათი, 27 დეკემბერი
17.00 — ბავშვთა ეკრანი. „ბაბა-ბალა“. „ბაბა-ბალა“ ეწვევა ბავშვთა ბაღს